ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა"+ „ბითლზები"
8 ლარი
23 ნოემბრიდან

პარასკევი, 25 ნოემბერი, 2011 №280 (5660) ფასი: 30 თეთრი

# კახა კალაძეს ატერორებენ



გვ.3
რატომ ქექავს ეროვნული ბანკი კალაძისა და ივანიშვილის ბანკების საბუთებს



## ჯონდი ბაღათურია: რომელი არისტოკრატი წიკლაურია, გლეხებს შეურაცხყოფას რომ აყენებს

რატომ იზრდება თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება გვ. 2



## „ქვეყანას ჰყავს გარყვნილი ხელისუფლება"
გვ.5

## გიგი უგულავა თბილისელებს დასცინის
გვ.6



## არ ვპატიებ ივანიშვილს იმას, რომ ეს ხელისუფლება გააძლიერა!
გვ.4





გვ.3

## ქართველების ნაწილს უცხოეთიდან სამშობლოში აღარ შემოუშვებენ

რა კანონი მიიღებინა პარლამენტს მინისტრმა პაპუნა დავითაიამ

## კონტროლის პალატამ სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტები გამოავლინა
გვ.5

## ირაკლი ალასანია ნიქოზელებს შეხვდა



გვ.2

## თბილისის მერიის განცხადება ჯიხურებთან დაკავშირებით

გვ.5

ზედამხედველობის სამსახურმა „პლანეტა ფორტესა" და „მაცნეს" ჯიხურების ასაღებად 2-დღიანი ვადა მისცა



ISSN 1987-9385

3 ტყიბულის მაღაროში კიდევ ერთი მუშა დაიღუპა

4 რა გარიგებები იდება პოლიტიკურ კულუარებში

5 „თრიალეთი" მედიაზე ზეწოლის ფაქტების შემსწავლელი კომისიის შექმნას ითხოვს

6 „ქართული ოცნების" პრეზენტაცია 11 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გაიმართება

# ჯონდი ბაღათურია: რომელი არისტოკრატი წიკლაურია, გლეხებს შეურაცხყოფას რომ აყენებს

## რატომ იზრდება თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება

თეა მარხვაიძე

გუშინ საპარლამენტო უმრავლესობაცა და მთავრობის წევრებიც კარგ სამუშაო ფორმაში იყვნენ. განსაკუთრებით ამაყად მაშინ ეკავათ თავი, როცა ქვეყნის ბიუჯეტის ზრდაზე საუბრობდნენ.

პარლამენტში სტუმრად მყოფმა ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ ერსაც და ბერსაც სიამაყით აუწყა, რომ საქართველო მომავალ წელს ფინანსურად წელგამართული ხვდება.

ეჭვიანი ოპოზიცია მინისტრს ჩააცივდა, რის საფუძველზე იძახი ამასო. დასაეჭვებელი კი, გასაკეთებლისა არ იყოს, ამ ქვეყანაში ძალიან ბევრია.

გვინდაძის განმარტებით, წელში გამართულად ყოფნის საბაბს მას არსებული რესურსები და ფისკალური სიმყარე იძლევა.

— არსებული რესურსები კი საჭიროა იმისათვის, რომ სხვადასხვა სახის გარე ზემოქმედებას გავუძლოთ, რაც ევროკრიზისიდან მომდინარეობს, — აღნიშნა დიმიტრი გვინდაძემ.

მშობლიურ მთავრობას თუ დავუჯერებთ, ის კრიზისები, რომელმაც ლამისაა მთელი ევროპა წალეკა, ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს.

მომავალი წლის ბიუჯეტში ზოგიერთი სტრუქტურების დაფინანსება გაიზარდა, ზოგიერთების შემცირდა. მთავრობას და ნაციონალებს ყველაფერზე პასუხი აქვთ და როგორც ყოველთვის, მართლები არიან. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ამბობენ.

ოპოზიციის ყურადღების ცენტრში ბევრი საკითხი მოექცა. ქდმ-ს ძალიან აინტერესებს, რატომ გადაწყვიტა მთავრობამ წლის ბოლოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გაზრდა 45 მილიონით.

ოპოზიციის მიუხვედრელობით გაოცებულმა გვინდაძემ არგუმენტირებულად ახსნა, თუ რატომ მოხდა ასე.

— ბოლო წლების განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი მუდმივად იზრდებოდა და 2008 წელს მისმა ხარჯმა მთლიანი ხარჯების 23 პროცენტი შეადგინა. 2009 წლიდან თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების ოდენობა შემცირდა. წარმოდგენილი ცვლილებების პროექტით, აღნიშნული უწყების ხარჯები მთლიანი ხარჯების 9,3-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტს შეადგენს.

ეს ის აუცილებელი დონეა, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ქვეყნის უსაფრთხოება იქნას უზრუნველყოფილი, — განმარტა ფინანსთა მინისტრმა.

ფინანსთა მინისტრის განმარტებები ლევან ვეფხვაძისთვის ამომწურავი სულაც არ აღმოჩნდა. დეპუტატს ისევ ძველი კითხვები აწუხებს.

> 2 დღის წინ ჩვენმა ხელისუფლებამ მამა-პაპურად და ჯიგრულად აღნიშნა ვარდების რევოლუცია. ქეიფს კიდევაც გააგრძელებდნენ, მაგრამ გაახსენდათ, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ამიტომაც, როგორც შევარდნაძე იტყოდა, ხელები დაიკაპიწეს და მუშაობას შეუდგნენ.



— ომს ხომ არ ველოდებით? თუ რაიმე ხდება, გაგვაგებინეთ, ხალხო. სამინისტროს ერთ თვეში 45 მილიონი ემატება. რაში და როგორ უნდა დაიხარჯოს ის? ამაზე ინფორმაცია არ არსებობს, — კითხულობს დეპუტატი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიციამ ხელისუფლებას ჰიბრიდული სიმინდიც წამოაძახა. ამ სიმინდმა რა დღეშიც ჩააგდო ჩვენი მოსახლეობა, ყველამ კარგად იცის.

ამაზე ოპოზიციამ ძალიან ბევრი ინერვიულა. ხელისუფლება თავიდან ამ პრობლემის გულთან ახლოს მიტანასაც არ აპირებდა, მაგრამ მერე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი და ხელისუფლებას დაზარალებულებზე გული აუჩუყდა.

თვით მაღალმა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ დაზარალებულთა დასახმარებლად კომპენსაცია გაიცემოდა. ოპოზიციამ ბევრი იკითხა და ბიუჯეტში მსგავსი ვერაფერი ამოიკითხა. ამიტომაც ამ საკითხის გარკვევა ფინანსთა მინისტრთან სცადეს.

დეპუტატი გიორგი ახვლედიანი დაინტერესდა, თუ რატომ არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტის ცვლილებებში პრეზიდენტის პირობა, რომელიც სწორედ სიმინდის მოსავლით დაზარალებულთა სუბსიდირებას შეეხებოდა.

ფინანსთა მინისტრის განმარტებით, სიმინდის პროგრამის სუბსიდირება აუცილებლობის შემთხვევაში არსებული სარეზერვო ფონდებიდან მოხდება.

დიმიტრი გვინდაძემ იქვე განმარტა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარჯი იზრდება, მაგრამ შესაბამისი პროგრამების დაფინანსებისას მხოლოდ სახელმწიფო ასიგნება გადამწყვეტი არ არის. მისი ინფორმაციით, დაახლოებით 270 მილიონი აშშ დოლარის პროგრამებს ამ სექტორში დონორი ორგანიზაციები აფინანსებენ.

ბიუჯეტის განხილვისას ოპოზიციას ყურადღების მიღმა არც უმუშევრობის პრობლემა დარჩენია. ეს გასაკვირი არცაა, რადგანაც ჩვენი მოსახლეობის 70% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. ხელისუფლების წარმომადგენლები კი დღეში ასჯერ მაინც გვიმტკიცებენ, რომ რაც ეგენი მოვიდნენ, უმუშევრობა შემცირდა.

პარლამენტში 45-დან 60 წლამდე ადამიანების ბედითაც დაინტერესდნენ. ალბათ გახსოვთ ჩვენი პრეზიდენტის დაპირება, რომელმაც თქვა, ვინც ამ ასაკის ხალხს დაასაქმებს, საგადასახადო შეღავათებს დავუწესებო. ისე, საინტერესოა, თავად რატომ არ დაასაქმებს ამ ასაკის ხალხს მთავრობაში. სხვა თუ არაფერი, მამალ ძროხას არავინ იტყვის და არც იმას შეიცხადებს, რატომ არის ამდენი წყალი ჟინვალის წყალსაცავში.

უმუშევრების პრობლემით და მათი რაოდენობით დაინტერესება გუშინ ედეპეს წევრმა გურამ ჩახვაძემ გამოხატა.

მას აინტერესებს, თუ როგორ ადგენს მთავრობა უმუშევართა რაოდენობას. მან ამ შეკითხვით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის განხილვისას ფინანსთა მინისტრ დიმიტრი გვინდაძეს მიმართა.

დეპუტატი დაინტერესდა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი შრომის ბაზარზე არსებული ვითარებით და საიდან ასკვნის მთავრობა უმუშევართა რაოდენობას, როცა 45-დან 60 წლამდე უმუშევართა დასაქმებაზე საუბრობს.

— როდესაც 45-დან 60 წლამდე უმუშევართა დასაქმებაზე საუბრობთ, როგორ ადგენთ უმუშევართა რაოდენობას — რომელი საკანონმდებლო აქტით ან დადგენილებით. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ამას დასაქმების სამსახური აკეთებს, — მიმართა ფინანსთა მინისტრს გურამ ჩახვაძემ.

დიმიტრი გვინდაძის განმარტებით, დასაქმება არა მხოლოდ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს, არამედ მთავრობის თემაა.

— დასაქმება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიკას“ უკავშირდება. აქედან გამომდინარე, დასაქმების მაჩვენებლის ზრდის სტრატეგია ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაა, — აღნიშნა დიმიტრი გვინდაძემ.

საპარლამენტო ფრაქცია — „ერთობა სამართლიანობისათვის“ ბოლშევიზმის მსხერპლთა ბედით დაინტერესდა. ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტრომ ბოლშევიზმის მსხვერპლთა საკომპენსაციოდ გათვალისწინებული თანხის გაცემა შეწყვიტა.

ცაგარეიშვილის თქმით, მას აქვს ინფორმაცია, რომ ფინანსთა უწყებამ იმ მიზერული (150, 200 და 220) ლარის გაცემაც კი შეწყვიტა, რომლის ოდენობაც სასამართლომ განსაზღვრა. მისი განცხადებით, ათასობით მოქალაქე სამინისტროსაგან ამ კითხვაზე პასუხს ითხოვს. თუმცა აღნიშნული საკითხი მიმდინარე წლის ბიუჯეტის ცვლილებათა პროექტში არ არის გაწერილი.

დიმიტრი გვინდაძემ გიორგი ცაგარეიშვილის პასუხად აღნიშნა, მას აღნიშნული კატეგორიის პირებისათვის კომპენსაციის გაცემის შეწყვეტაზე ინფორმაცია პირველად ესმის. მინისტრის განმარტებით, სახელმწიფოს აქვს ფისკალური მოქნილობა და ამ საკითხის განხილვას მთავრობის სარეზერვო ფონდის სახსრების გათვალისწინებით დაუბრუნდებიან.

მთლიანობაში ოპოზიცია ამ ცვლილებებით უკმაყოფილო დარჩა. მათ კენჭისყრამდევე უარი თქვეს პროექტის მხარდაჭერაზე.

ქდმ-ს სახელით, პროექტის მხარდაჭერაზე უარი მაგდა ანიკაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო ჯანდაცვის არაერთ პროგრამას აფინანსებს, სახელმწიფოს წილი მცირეა იმ თანხასთან შედარებით, რასაც მოქალაქეები საკუთარი ჯიბეებიდან იხდიან.

ანიკაშვილმა ხაზი იმ გარემოებასაც გაუსვა, რომ ინდივიდუალური დაზღვევა საქართველოში გართულებულია. მისი თქმით, საშუალო ასაკის ადამიანებს სამუშაო ადგილის მოძებნა უჭირთ და თუ ამას ახერხებენ, მათთვის დაზღვევა „შეუძლებელი ხდება“. ამასთან, დაფინანსების დიდი ნაწილი სოციალურ სფეროზე, ჯანდაცვაზე კი ძალიან მცირე ნაწილი მოდის.

როგორც მოსალოდნელი იყო, ცვლილებებს მხარი არც ფრაქციამ ერთობა სამართლიანობისთვის დაუჭირა. ნაციონალებს ქდმ-ს კრიტიკაც არ მოუსმენია სათანადოდ, ერთობა სამართლიანობისთვის კი საერთოდ დააიგნორეს.

ფრაქციის წევრთა პოლიტიკურმა გამოსვლებმა პარლამენტის სხდომათა ცარიელ დარბაზში, ამავე ფრაქციის მხოლოდ ხუთი დეპუტატის მონაწილეობით ჩაიარა.

კოლეგების იგნორმა ფრაქციას გული ატკინა და აღაშფოთა. ამის მიუხედავად, ისინი სულიერად არ დაეცნენ და თავისი დრო სრულად გამოიყენეს.

ფრაქციამ ის 30 წუთი გამოიყენა, რომლითაც სარგებლობა უმრავლესობისა და უმცირესობის მიღმა მყოფ ფრაქციას საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიის მსვლელობისას თითოჯერ შეუძლია. 30 წუთის განმავლობაში დარბაზში მხოლოდ გიორგი ცაგარეიშვილი და წევრები: ჯონდო ბაღათურია, პეტრე მამრაძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე და თამაზ დიასამიძე იმყოფებოდნენ.

ჩვენში ბევრჯერ ყოფილა საუბარი ქამრების შემოჭერაზე. როგორ აქვს მთავრობას ქამრები შემოჭერილი, ყველას კარგად მოგეხსენებათ. ამ მხრივ განსაკუთრებით მოჭერილი მთავრობაა. თუმცა არც დეპუტატები იკლებენ კარგ ცხოვრებას.

წლის დამლევს კი მათ რატომღაც გადაწყვიტეს ქამარი შემოეჭირათ. ეს სასიამოვნო ინფორმაცია საზოგადოებას ზურაბ მელიქიშვილმა ამცნო. მისი თქმით, პარლამენტი საკუთარ ბიუჯეტს ამცირებს და მოკლებულ თანხას ცენტრალური ბიუჯეტისაკენ მიმართავს.

— პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან კონსულტაციების შედეგად პარლამენტის ბიუჯეტის 5,5 მილიონით ლარით შემცირება და მისი ოდენობის 28,5 მილიონით განსაზღვრა გადაწყდა. აღნიშნული თანხა იმ პროგრამებისკენ გადამისამართდება, რომელიც დასაქმებასა და ჯანდაცვის ხელმისწვდომობას შეუწყობს ხელს, — აღნიშნა ზურაბ მელიქიშვილმა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 30 წუთის განმავლობაში ერთობა სამართლიანობისთვის წევრები მარტო იყვნენ და მარტო აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას. ამ სიმარტოვეში გაუხსენა ჯონდი ბაღათურიამ ნუგზარ წიკლაურს ძველი ცოდვები.

22 ნოემბერს გამართულ პარლამენტის სხდომაზე წიკლაურმა ივანიშვილს აღზევებული მდაბიო უწოდა. ამ შეფასებამ საზოგადოებაში დიდი გაღიზიანება გამოიწვია. განსაკუთრებულად გაღიზიანდა ოპოზიცია. გამონაკლისი არც ჯონდი ბაღათურია აღმოჩნდა.

მან წიკლაურის განცხადებას სამარცხვინო უწოდა. დეპუტატს აინტერესებს, ამის შემდეგ ხელისუფლება როგორ შეხედავს ხალხს თვალებში.

— იყო ხოლმე საუბარი ქსენოფობიაზე, რაშიც რობერტ სტურუასაც ადანაშაულებენ, თუმცა ამის პარალელურად პარლამენტის წევრი სოციოფობიურ განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, საინტერესოა, როგორ აპირებს ხელისუფლება ამის შემდეგ გლეხებთან და მუშებთან მისვლას, როდესაც ნუგზარ წიკალურისნაირი ადამიანი ჰყავთ რიგებში, რომელსაც სამარცხვინოდ მიაჩნია, რომ ადამიანი გლეხი იყოს და მუშაობდეს სოფელში. ან გლეხებმა, ან მუშებმა ხმა როგორ უნდა მოგცეთ, ასეთი მეშჩანური ინტელექტისგან და პატრიოტიზმისგან დაცლილი განცხადების შემდეგ. საინტერესოა, რომელი არისტოკრატიის წევრია ნუგზარ წიკალური, რომ ასეთი ზიზღით საუბრობს ყველაზე პატივსაცემ სოციალურ ფენაზე, გლეხებსა და მუშებზე? შეიძლება ხელისუფლებას სძულს ის ეროვნული მოძრაობა, რომელიც დღეს ქვეყანაში მიმდინარეობს, მაგრამ დაუშვებელი და სამარცხვინოა ასეთი სიძულვილის ენით ლაპარაკი საკუთარი ხალხისადმი, — აცხადებს ბაღათურია.

ბაღათურია ასევე დარწმუნებულია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ასეთი განცხადების შემდეგ საპროცედურო საკითხთა კომიტეტი შესაბამის პროცედურებს დაიწყებდა.

არც საპროცედურო საკითხთა კომიტეტი და არც ნაციონალები არავითარი პროცედურის დაწყებას არ აპირებენ. პირიქით, ისინი იზიარებენ წიკლაურის შეფასებას და ავიწყდებათ, რომ ზოგიერთი მათგანი თავად არის აღზევებული მდაბიო.

## ირაკლი ალასანია ნიქოზელებს შეხვდა

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზის მოსახლეობას შეხვდა.

ალსანია ნიქოზელების მდგომარეობით დაინტერესდა და სოფელში არსებულ პრობლემებზე ესაუბრა

მან ნიქოზელებს „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ მომზადებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაც გააცნო და გლეხებს პირობა მისცა, რომ მთავრობის წარმომადგენლებს მოსვენებას არ მისცემს, ვიდრე იმ ვალდებულებებს არ შეასრულებენ საკუთარი ხალხის წინაშე, რაც კანონით აკისრიათ.


ირაკლი ალასანია

როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი აღნიშნავს, ოკუპირებულ ზონასთან მდებარე სოფლის მცხოვრებლები ზამთარს მოუმზადებლები ხვდებიან. მთავრობა თითო ოჯახს მხოლოდ 2 კბ.მ შეშას ურიგებს, რაც ზამთრის განმავლობაში მათთვის არასაკმარისია.

— პრობლემებია მოსახლეობის სასმელი და სარწყავი წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით, მწვავედ დგას უმუშევრობის საკითხი. თავისუფალი დემოკრატები“ ყოველთვის ვამბობდით, რომ უმუშევრობის დაძლევის გასაღები რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარება და აღორძინებაა, რასაც ხელისუფლების მხრიდან, სამწუხაროდ, ყურადღება არ ეთმობა, — განაცხადა ალასანიამ.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კალაძეს ატერორებენ

## რატომ ქექავს ეროვნული ბანკი კალაძისა და ივანიშვილის ბანკების საბუთებს

შალვა ჯოხაძე

**კახა კალაძისა და ბიძინა ივანიშვილის ბანკებში ეროვნული ბანკი საბუთებს გულმოდგინედ ქექავს და არავინ იცის, მათი „შემოწმების" შედეგი რა იქნება. აღსანიშნავია, რომ შემოწმების მეთოდები ორივე ბანკისათვის სრულიად ერთნაირია. ამასობაში, „ქართუ" და „პროგრეს" ბანკები ერთმანეთთან თანამშრომლობის გეგმებს აწყობენ. კახა კალაძემ ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური განცხადებაც გაავრცელა. მისი თქმით, საზოგადოებისა და მასმედიის მხრიდან გამოჩენილი დაინტერესების გამო გადაწყვიტა, მიმდინარე მოვლენებზე საკუთარი მოსაზრებების შესახებ განცხადება გაეკეთებინა.**

**კახა კალაძე:**

— უპირველესად მინდა აღვნიშნო, რომ ჩემ მიერ დაარსებული „პროგრეს ბანკის" 10%-ის მფლობელი გახდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ხოლო „ქართუ ბანკსა" და „პროგრეს ბანკს" შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ეს ყველაფერი ემსახურება ქართულ ეკონომიკაში დამატებითი ინვესტიციების განხორციელებას. აღნიშნული ბიზნესგარიგება, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დარჩენია მაკონტროლებელ ორგანოს და ეროვნული ბანკიდან მეორე დღესვე შემოვიდნენ შემოწმების მიზნით. ეს არის გაგრძელება საბანკო ტერორისა, რომელიც ეროვნული ბანკის ხელით დაიწყო „ქართუ ბანკზე" და ამჟამად გრძელდება „პროგრეს ბანკზე".

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს მეგობრობის ხელი გავუწოდე და რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში გვერდით დგომა შევთავაზე, ეს ყველაფერი ძალაშია. არ ვარ ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ სიტყვით და არა საქმით გამოხატავს თანადგომას. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ მმართველ რეჟიმს თვალში არ მოდის არც კახა კალაძე და არც ბიძინა ივანიშვილი. ისინი ყველანაირ აკრძალულ ხერხს მიმართავენ, ოღონდ რეჟიმი შეინარჩუნონ და მასთან ერთად შეინარჩუნონ ქონება და რეგალიები. რეჟიმის წარმომადგენლები, გააზრებულად ახდენენ მათ მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების საშუალებით განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების უნიჭოდ დამცირებას, დაუკვირდით მათ თვალებს, ინტონაციას, ლექსიკას, როდესაც საუბრობენ ადამიანებზე, რომლებიც მონურად თავდახრილი არ არიან მმართველი ელიტის წინაშე.

ხელისუფლება საკუთარ ხალხს მართავს მათრახისა და ორცხობილას პრინციპით ანუ წლების მანძილზე იყენებს მხოლოდ მათრახს, ხოლო როდესაც არჩევნებისთვის ემზადება, მაშინ ცოტაოდენ მოლბება და იუდას ამბორით, ორცხობილას გვაწვდის, როგორც კი ჩაივლის არჩევნები, გაორმაგებული ენერგიით ისევ მათრახით მართვას უბრუნდებიან. ეს არის ერთ კაცზე მორგებული რეჟიმი, ამ ერთმა კაცმა ამოწურა თავისი შესაძლებლობა და ის ამოწურა საკმაოდ დიდი ხნის წინ, წლების მანძილზე მისი ძირითადი ფუნქცია იყო ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული პროექტების სათავისოდ, ურცხვად მიწერა და ამ პროექტების მაკრატლით ლენტის გაჭრა, ტელეკამერების წინ კეკლუცობის ფონზე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ბრძანა, რომ ბატონ ივანიშვილს აუცილებლად უნდა აღუდგეს საქართველოს მოქალაქეობა, თუმცა მოქმედი რეჟიმის ელიტამ ეს ნათქვამი გაატარა. მათ არ ესმით, რომ ერი და ბერი ამ და სხვა მრავალ საკითხში ერთსულოვანია.

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ რვა წელი გავიდა, ეს იყო ხალხისათვის იმედგაცრუების და ნიჰილიზმის საშინელი რვა წელი. ჩვენ, ქართველმა ხალხმა არა რევოლუციით, არამედ კონსტიტუციით გათვალისწინებული ყველა გზით უნდა შევძლოთ არსებული რეჟიმის შეცვლა. დადგა დრო ყველამ ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება, საქართველოს მოსახლეობა ამას ნამდვილად იმსახურებს.


კახა კალაძე

კახა კალაძის მიერ განცხადების გამოქვეყნებას წინ უძღვოდა „ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტ ნოდარ ჯავახიშვილის კომენტარები იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართუ ბანკმა" ფეხბურთელ კახი კალაძის „პროგრეს ბანკის" 1 მლნ 300 000 ლარის ღირებულების აქციები შეიძინა. ამით „ქართუ ბანკი" „პროგრეს ბანკის" აქციების დაახლოებით 10%-ის მფლობელი გახდა. ბანკებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაც გაფორმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, „ქართუ ბანკი", როგორც გამოცდილი საბანკო ინსტიტუტი, დახმარებასა და თანადგომას აღმოუჩენს კალაძის ბანკს.

— შევთანხმდით ტექნიკურ თანამშრომლობაზე. საჭიროების შემთხვევაში ჩვენ, როგორც უფრო გამოცდილი ბანკი, დავეხმარებით კადრების მომზადებაში, გავუზიარებთ გამოცდილებას. აუცილებლობის შემთხვევაში, გარკვეულ ფინანსურ თანადგომასაც გამოვუცხადებთ. როგორც კი ამის შესახებ ინფორმაცია ეროვნულმა ბანკმა მიიღო, ის „პროგრეს ბანკში" შემოწმების მიზნით შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს, რომ საკითხის პოლიტიზებას ჩვენ ვახდენთ, ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილის მიმართ ზეწოლა ხორციელდება, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ეროვნული ბანკი „პროგრეს ბანკშიც" შევიდა, — განაცხადა ჯავახიშვილმა.

ეროვნული ბანკი კალაძის ბანკში შემოწმების დაწყებას ადასტურებს, თუმცა დეტალებს არ აკონკრეტებს.

— ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკი კომენტარს არ გააკეთებს, — აცხადებენ ეროვნული ბანკის პრესცენტრში.

აღსანიშნავია, რომ ბიძინა ივანიშვილი ბაზარზე მოქმედი სხვა ბანკების წილის შესყიდვითაც შეიძლება დაინტერესდეს, თუმცა ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია, რადგან „ქართუს" საბანკო სექტორიდან მხარს არავინ უჭერს. იმავე „პროგრეს ბანკში" კი სამომავლოდ ბიძინა ივანიშვილის წილი 25 პროცენტამდე შეიძლება გაიზარდოს. თუმცა არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, ეს საკითხი პროცედურულად საქართველოს ეროვნულ ბანკთან უნდა შეთანხმდეს.

— გავაგზავნით ეროვნულ ბანკში მოთხოვნას, რომ „პროგრეს ბანკში" 25 პროცენტით შევიდეთ, თუმცა, შესაძლოა, ეს პროცედურა რამდენიმე თვე გაიწელოს, — ამბობს ნოდარ ჯავახიშვილი.

ცნობისათვის, 2008 წელს დაფუძნებული „პროგრეს ბანკი" საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის „კალა კაპიტალის" საკუთრებაა, რომლის მთავარი ოფისი თბილისში მდებარეობს. კახა კალაძემ ბანკი 2008 წელს დააფუძნა და ამ დრომდე ის აქციების 100%-ის მფლობელი იყო. 2011 წლის მეორე ნახევრის მონაცემებით, ბანკის მთლიანი კაპიტალი 14 473 034 ლარით განისაზღვრა. 2011 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით, ბანკი 0,1 მლნ ლარის მოგებით მომგებიან ბანკებს შორის მე-16 პოზიციაზეა. „ქართუ ბანკის" 100%-ანი წილის მფლობელი კი სს „ქართუ ჯგუფია", რომლის დამფუძნებელია ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი. ეროვნული ბანკის მონაცემებით, აქტივებისა და პასივების მოცულობით „ქართუ ბანკი" საქართველოში მოქმედ 19 ბანკს შორის მეხუთე ადგილზეა.

# ქართველების ნაწილს უცხოეთიდან სამშობლოში აღარ შემოუშვებენ

## რა კანონი მიაღებინა პარლამენტს მინისტრმა პაპუნა დავითაიამ

შალვა ჯოხაძე

**საქართველოდან უკვე იმდენი ადამიანია გადახვეწილი და სამშობლოში შემოსვლისას მათ ისეთი პრობლემები ექმნებათ, რომ ჩვენმა პარლამენტმა მათზე ზრუნვა გადაწყვიტა. საქმე ისაა, რომ უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლის უფლება ენიჭებათ. „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ" კანონი პარლამენტმა 24 ნოემბერს საბოლოოდ, მესამე მოსმენით დაამტკიცა. კანონი მომავალი წლის მარტიდან ამოქმედდება.**

ცვლილებების თანახმად, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე, რომელიც არის იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საქართველოში შემოსასვლელად ვიზა ესაჭიროება, უფლებამოსილი იქნება, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ვიზის გარეშე გადმოკვეთოს და ჩვენს ტერიტორიაზე არაუმეტეს 30 დღისა დარჩეს. საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძველი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა იქნება. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხოეთის მოქალაქეს სახელმწიფო სასწავლო გრანტის და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლება ენიჭება. სახელმწიფოს მიერ ზოგადი განათლების დაფინანსება გავრცელდება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხოეთის მოქალაქეზეც.

კანონის თანახმად, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს სპეციალური სტატუსი ენიჭებათ, რათა მათ საქართველოში გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლონ.

სპეციალური შეღავათები, რომლითაც ამ სტატუსის მატარებლები ისარგებლებენ, უკავშირდება საქართველოში 30 დღით უვიზოდ შემოსვლისა და ყოფნის უფლებას; სპორტულ შეჯიბრებებში საქართველოს სახელით ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში შესაძლო მონაწილეობას; სახელმწიფოს დაფინანსებით საქართველოში ზოგადი და უმაღლესი განათლების მიღებას და სამოქალაქო რეესტრის მომსახურების შეღავათიანი პირობებით სარგებლობას. ამას გარდა, ეს პირები ისარგებლებენ ყველა იმ უფლებითა და თავისუფლებით, რაც საქართველოში მყოფ უცხოელებზე კანონმდებლობით ვრცელდება. ამ სტატუსის მიღება, რისთვისაც დადებითი დასკვნა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გასცენ, შეეძლებათ იმ პირებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან და ხანგრძლივად ცხოვრობენ სხვა სახელმწიფოში; ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან და გააჩნიათ წარმომავლობა საქართველოდან, ანდა მათი მშობლიური ენა მიეკუთვნებოდა ქართულ-კავკასიურ ენათა ოჯახს.


პაპუნა დავითაია

სპეციალური სტატუსი და შესაბამისი მოწმობა, კანონპროექტის მიხედვით, შეიძლება მიიღონ ორი კატეგორიის პირებმა — მათ, ვინც საქართველოს მოქალაქეები არიან და ხანგრძლივად ცხოვრობენ სხვა სახელმწიფოში და უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, რომელთაც აქვთ წარმომავლობა საქართველოდან, ანდა მათი მშობლიური ენა მიეკუთვნებოდა ქართულ-კავკასიურ ენათა ოჯახს.

კანონპროექტის თანახმად, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა 20 წლამდე პირებზე გაიცემა 3 წლის ვადით, 20-დან 65 წლამდე პირებზე – 10 წლის ვადით, ხოლო 65 წლის ზევით – უვადოდ.

თუმცა ის პირები, რომლებზეც არსებობს სახელმწიფო ორგანოების დასკვნა, რომ ისინი საქართველოს ინტერესების საზიანოდ მოქმედებდნენ ან უსაფრთხოების დაცვის მოტივით მათთვის ასეთი სტატუსის მინიჭება მიზანშეუწონელია, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსს ვერ მოიპოვებენ. ამ სტატუსის მატარებლებს კი სტატუსი საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნების შემთხვევაში შეუწყდებათ.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაპუნა დავითაიამ პარლამენტის სხდომაზე კანონპროექტის წარდგენისას განაცხადა, რომ ამ საკანონმდებლო აქტის მიღებას უფრო „მორალური" დატვირთვა აქვს, ვინაიდან იგი მიზნად ისახავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების „იურიდიული ბმას" საქართველოსთან.

— მარტში, როცა ეს კანონი შევა ძალაში, ვფიქრობ, რომ ასობით ათასი ჩვენი თანამოქალაქე ისარგებლებს ამ აქტით, — განაცხადა დავითაიამ.

ეს საკანონმდებლო რეგულაციები გავრცელდება საქართველოდან გადასახლებულ ქართველებზე, მათ შორის მათზე, ვინც ირანის ფერეიდნის პროვინციაში ცხოვრობს და ასევე მაგალითად, თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებზე, თუმცა კანონპროექტში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო ამ პოლიტიკის გატარებისას სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს ეყრდნობა.

# საქართველოს ელჩმა გვატემალის პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელები გადასცა

მექსიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მალხაზ მიქელაძემ რწმუნებათა სიგელები გადასცა გვატემალის რესპუბლიკის პრეზიდენტს ალვარო კოლომს.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, ცერემონიის ფარგლებში გამართული საუბრისას საქართველოს ელჩმა და გვატემალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების პერსპექტივები, როგორც ორმხრივ ასევე მრავალმხრივ ფორმატებში. მალხაზ მიქელაძემ ხაზი გაუსვა საქართველოს ინტერესს, განავითაროს პარტნიორულიურთიერთობები არა მარტო გვატემალასთან, არამედ ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნებთანაც, მათ შორის, რეგიონული ორგანიზაციების ფარგლებში. თავის მხრივ, პრეზიდენტმა კოლომმაც გამოხატა თავისი ქვეყნის სურვილი, გააღრმაოს თანამშრომლობა საქართველოსთან.

გვატემალაში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ელჩმა შეხვედრები გამართა კულტურისა და სპორტის და განათლების მინისტრებთან.

**მედიანიუსი**

# ტყიბულის მაღაროში კიდევ ერთი მუშა დაიღუპა

ტყიბულში, მინდელის სახელობის მაღაროში წუხელ კიდევ ერთი მაღაროელი – სერგი აშოთია დაიღუპა.

როგორც „მედიანიუსს" მაღაროში მომუშავე ერთ-ერთმა მუშამ შეატყობინა, სერგი აშოთიას თავში ნატეხი მოხვდა, რაც უბედური შემთხვევა გამოიწვია.

აშოთია გამოცდილი მაღაროელი იყო. ის 2010 წლის 27 აგვისტოს მომხდარი აფეთქების დროს მძიმედ დაშავდა და გარკვეული პერიოდი დამწვრობის ცენტრში მკურნალობდა.

ნოემბრის თვეში მაღაროში მომხდარი ეს უკვე მეორე უბედური შემთხვევაა. 2011 წლის 7 ნოემბერს აფეთქების შედეგად მაღაროში ორი მაღაროელი დაიღუპა. ბოლო ორი წლის განმავლობაში კი მინდელის სახელობის შახტაში ექვსი უბედური შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც 13 მაღარიელია დაღუპული.

2010-2011 წლებში მინდელის სახელობის მაღაროში მომხდარი აფეთქებების შემდეგ, უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი სპეციალური კომისიები შეიქმნა. კომისიამ ყველა შემთხვევაში თავად გარდაცვლილი და დაშავებული მაღაროელები დაადანაშაულა.

2011 წლის 22 იანვრს, მესამე აფეთქების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა მკაცრი განცხადება გააკეთა და მომხდარ უბედურ შემთხვევებში შახტის ადმინისტრაცია დაადანაშაულა.

**მედიანიუსი**

# არ ვაპატიებ ივანიშვილს იმას, რომ ეს ხელისუფლება გააძლიერა!

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტი ლეილა გაფრინდაშვილი ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლების პროექტად განიხილავს და ეჭვი ეპარება, რომ ივანიშვილი ქვეყნის გაერთიანებისა და ეროვნული ხელისუფლების ჩამოსაყალიბებლად მოდიოდეს.**

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელი სააკაშვილის ხელისუფლების უმძიმეს შედეგებზე გარკვეულ პასუხისმგებლობას ივანიშვილსაც აკისრებს, როგორც რეჟიმის მთავარ დამფინანსებელს.

რას ვერ პატიობს ივანიშვილს 26 მაისისა და 7 ნოემბრის აქციებზე დაზარალებული და რა კავშირი აქვთ ფეესბესთან ივანიშვილის გარემოცვას? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ლეიბორისტული პარტიის წევრ **ლეილა გაფრინდაშვილთან.**

***– ქალბატონო ლეილა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა პომპეზურად აღნიშნა რევოლუციის 8 წლისთავი და განაცხადა, რომ ამხელა აღმშენებლობა საქართველოში არც ერთ საუკუნეში არ ყოფილა. რეალურად რა შედეგი დააყენა რევოლუციურმა ხელისუფლებამ?***

– ამ ხელისუფლების 8 წლისთავი შეიძლება შეფასდეს ასე: ადამიანის უფლებების სრულად გათელილი; მკვლელობები, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ხდებოდა რევოლუციის შემდგომ; გაღატაკებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთა რაოდენობამ კატასტროფულ მაჩვენებელს მიაღწია იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილი გაიძახოდა, 17%-მდე დავიყვანეო; ემიგრაციაში გადახვეწილი ადამიანები, რომლებიც აქეთ გამოხედვას არ აპირებენ, სანამ ეს ხელისუფლება იქნება; ფასადომანია, რომელიც სჭირს სააკაშვილს. ამ ფასადების მიღმა, ეზოებში და სახლებში ისეთი მძიმე მდგომარეობაა, რომ მაპატიეთ გამოთქმაზე, კარგად აღზრდილი ძაღლიც კი არ მოისაქმებს. კატასტროფული სიტუაციაა. მარტო ფასადები შეღებეს მთელ საქართველოში. ხელისუფლება თავიანთი ტკბობით არის დაკავებული. უზარმაზარი ხელფასები აქვთ, ძალიან დიდი ქონება იშოვეს და თავს კომფორტულად გრძნობენ. ნაციონალური მოძრაობა გაძვალტყავებული ხალხით იყო დაკომპლექტებული, დღეს კი წარმოუდგენლად ძვირადღირებულ ვილებს იშენებენ მისი წევრები. პრეზიდენტი რომ გაიძახოდა, ჩვენ არ მოგვიპარავსო, წავიდეს დიღომში და კარგად ნახოს, რა სასახლეები აიშენეს მისი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ჩვენ ბრიფინგები ჩავატარეთ სააკაშვილის და მისი თანგუნდელების სასახლეებთან და ხალხმა ნახა, რა ქონება იშოვეს ამ 8 წლის განმავლობაში. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში წარმოუდგენელი მდგომარეობაა მედიაში. ხელისუფლება სრულად აკონტროლებს მედიას. საქართველოში სიტყვის თავისუფლება არ არსებობს. ხელისუფლება ყველაფერს აკონტროლებს. არ არსებობს თავისუფალი სასამართლო. ციხეები გადაჭედილია პატიმრებით. ხომ არ გგონიათ, რომ მართლაც 23.000 პატიმარია ქვეყანაში. პატიმართა რაოდენობამ 50.000-ს მიაღწია. ოჯახი არ არის დარჩენილი, სადაც პატიმარი არ პრობაციონერი არ იყოს. მოქალაქეები სულს ღაფავენ გადასახადებისაგან. ხალხი ვერ თბება, ერთ ნათურაზე მეტს ვერ ანთებს. ხალხი დატერორებულია, ვინც ხმას ამოიღებს, ციხეში ერეკებიან. მოსახლეობა დაშინებული და დამონებულია. მე პირადად, როგორც ერთი მოქალაქე, პარტიულობას რომ თავი დავანებოთ, ვერანაირ წინსვლას ვერ ვხედავ.

***– ანუ რევოლუციური ხელისუფლების მოღვაწეობით ძალიან უკმაყოფილო ხართ?***

– ძალიან. მე ამ 8 წლის შედეგებს და რევოლუციას შევაფასებდი საქართველოს დაქცევის რევოლუციად. საქართველო დააქცია სააკაშვილმა და მისმა ბანდამ. საქართველოში არ არსებობს თვითმმართველობა. არის სრული ცენტრალიზაცია. სააკაშვილის თვალით, რასაკვირველია, ყველაფერი დადებითია. სააკაშვილი, რომელსაც არაფერი არ ჰქონდა, მილიარდერი გახდა. 60.000-იანი ბოინგიდან გადაჯდა 200.000-იან ბოინგში. აიშენა არაერთი სასახლე. მეფეებს ამ ჰქონიათ ამდენი სასახლეები. სააკაშვილი არის ამ ქვეყანაში ყველაფერი – არქიტექტორიც, მშენებელიც, რეჟისორიც და ა.შ. თავისი „ჭკუით“ უნივერსალი პიროვნებაა.


ლეილა გაფრინდაშვილი

***– რას იტყვით პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე, ქუთაისი საქართველოს მეორე დედაქალაქი გახდეს?***

– ჯერ ერთი, ვინ ჰკითხავდა სააკაშვილს, რომ ადმინისტრაციული ცენტრი ქუთაისში გადაეტანა. რეფერენდუმი უნდა ჩაეტარებინა და ხალხს უნდა გადაეწყვიტა ეს საკითხი. ვინ არის სააკაშვილის, საქართველოს მონარქია თუ ვინ არის, რომ ერთპიროვნულად წყვეტს ყველაფერს? მეფეები ვერ ბედავდნენ ამდენს. აღმაშენებელმა, რომელიც უდიდესი სტრატეგი იყო, სატახტო ქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. ვინ ჰკითხავს სააკაშვილს და მის ბანდას, სად უნდა განთავსებულიყო პარლამენტი. თბილისი ადმინისტრაციული ცენტრია და პარლამენტიც თბილისში უნდა იყოს. ამას ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სააკაშვილი ყველაფერს აღმაშენებლის ნაბიჯების საპირისპიროდ აკეთებს. სააკაშვილმა აღმაშენებელი თბილისიდან გააძევა და რეიგანის, კომუნისტი ალიევისა და შევჩენკოს ძეგლები დადგა თბილისში. რეიგანის ძეგლს თბილისში რა უნდა, მაინტერესებს. ამდენი ქართველის ძეგლი გააძევა თბილისიდან. რასაც სააკაშვილი ამ წლების განმავლობაში აკეთებდა, ამას ნორმალური ადამიანი არ გააკეთებს. ძალიან მძიმე შემთხვევაა ეს ადამიანი. ამ ქვეყანას არაფერი ეშველება, ისევ ანალოგიური ჩანცვლება თუ მოხდა. მოქალაქეთა კავშირის მოდის, მოდის და ახლაც ახალი მოქკავშირი გვეყოლება კიდევ, თუ ხალხი ჭკუაზე არ მოეგო.

***– ჩანაცვლებაში ბიძინა ივანიშვილის და მისი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლას გულისხმობთ?***

– რასაკვირველია. ივანიშვილი არის ის კაცი, რომელმაც გააძლიერა სააკაშვილის ხელისუფლება. მე, პირადად, 7 ნოემბერს ორჯერ რომ მოვიწამლე, ჯერ პარლამენტის წინ და მერე იმედთან, სწორედ ივანიშვილმა დააფინანსა ის სპეცრაზმელები. მე ამას ბიძინა ივანიშვილს არასოდეს ვაპატიებ. როგორც ერთი მოქალაქე გეუბნებით, რომ არ ვაპატიებ ივანიშვილს იმას, რომ ეს ხელისუფლება გააძლიერა, გაამდიდრა და ხმასაც არ იღებდა იმაზე, რომ რასაც სააკაშვილი ხსინდა და იბრალებდა, მე გავაკეთეო, თურმე ივანიშვილის ფულით კეთდებოდა. ივანიშვილი აფინანსებდა ძალოვან სტრუქტურებსაც, ხელფასებსაც უხდიდა. გამოდის, რომ არა ივანიშვილი, სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ამდენი ხნის მანძილზე ჩამოიშლებოდა. ამ ხელისუფლებას აჩუქა მან დელფინარიუმი, „კანატკები“. თუ ივანიშვილი ელიტას აფინანსებდა, მთელ მსოფლიოში მილიარდერები აფინანსებენ არა მხოლოდ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს თავის ქვეყანაში, არამედ სხვა ქვეყანაშიც. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ბუბა კიკაბიძის დაფინანსება, ნინო ანანიაშვილის, ასანიძის და სხვების დაფინანსებაში მე ვერანაირად ვერ დავეთანხმები. ეს ჩემთვის მისაღები არ არის. მას არც ერთი ისეთი სოციალური პროექტი არ დაუფინანსებია; არც სამამულო ომის ვეტერანები, არც მოხუცებულები. არც მრავალშვილიანები არ დაუფინანსებია. როცა გამოქვეყნდა გაირკვა, რომ არც ერთ მძიმე სოციალურ პროექტს ივანიშვილი არ აფინანსებდა. ე.ი. წინასწარ ჰქონია ამ კაცს განზრახული, ვინ უნდა დაეფინანსებინა და ვისი მხარდაჭერა უნდა მოეპოვებინა. მე როგორ დავიჯერო, რომ ივანიშვილი სააკაშვილის და მისი გუნდის მიერ არ არის პოლიტიკაში შემოგდებული და დევნილის მანტია არ აქვს მოსხმული. ჩვენ ბევრჯერ გამოვიარეთ მსგავსი სცენები. ხომ გხსოვთ, სააკაშვილი რამდენჯერ უწყობდა საკუთარ თავს ტერორისტულ აქტებს. ისეთი ორიენტაცია აირჩია ივანიშვილმა, რომ ეჭვი მეპარება ქვეყნის გაერთიანება უნდოდეს. ისეთი ძალები დაიყენა გვერდით, პირდაპირ ცერეუს აგენტები არიან. იმათ აბარებენ პატაკებს. სხვათა შორის, თავიდან ხალხში ეიფორია იყო და უამრავი ადამიანი მიაწყდა მის ოფისს დახმარებისთვის, მაგრამ არავის დახმარებია. მე პირადად, პაატა ბურჭულაძის ქველმოქმედება უფრო ღირებულად მიმაჩნია, ვიდრე ივანიშვილის. ის მართლა გაჭირვებულებს ეხმარება. მაპატიეთ, მაგრამ გიგა ბოკერიას და ფრიდონ თოდუას დაფინანსება ქველმოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს?!

***– ივანიშვილის მხარე აცხადებს, რომ ქველმოქმედი აფინანსებს იმ ადამიანებს, ვინც ქვეყანას გამოადგა და ვინც ისტორიაში შევიდა თავისი დამსახურებით.***

– შეიძლება ასეთებიც დააფინანსა, მაგრამ მის მიერ ბევრია დაფინანსებული ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მყოფი ადამიანი. ის ფაქტი, რომ ივანიშვილს მოქალაქეობა ჩამოართვეს, ეს რასაკვირველია, მიუღებელია და ხალხმა უნდა გააპროტესტოს. ათასი რჯულის ადამიანი დარბის, ვისაც საქარველოს მოქალაქეობა მიანიჭა სააკაშვილმა. ივანიშვილი კი აქ დაიბადა და აქ ცხოვრობს. ესეც თამაში მგონია, რა ვქნა. შეიძლება ეჭვიანი ვარ და ყველაფერს კრიტიკულად ვუყურებ. მე რატომღაც არა მგონია, რომ ეს ხელისუფლების თამაშის ერთი ნაწილი არ იყოს. ჩვენ ამერიკის ელჩი რამდენჯერმე დავპატიჟეთ პარტიის ოფისში და არ მოსულა. ასე დარაზმულები რომ ავიდნენ ივანიშვილთან, რა ხდება?! ხომ მთელმა საქართველო იცის, რომ 26 მაისს პირდაპირ ამერიკის ელჩმა დაგვარბია. ეს დარბევა მისი ბრძანებით მოხდა. თანაც არ დაგავიწყდეთ, არაფერმა არ შეაწუხა ივანიშვილი, 2003 წლიდან მოყოლებული არაერთი უმძიმესი ფაქტი მოხდა: დარბევები, ქონების ჩამორთმევები, ეკლესიების დარბევები, ადამიანების ქუჩებში ჩახოცვა, 7 ნოებერი და ა.შ. რატომ მაინცდამაინც 2011 წელს შეწუხდა სააკაშვილის ხელისუფლების არასწორი და ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯებით? განაცხადა, გულუბრყვილოდ მჯეროდა და ვენდობოდი სააკაშვილსო. გულუბრყვილო და ბრიყვი თუ ხარ, მაშინ პოლიტიკაში რა გინდა?!

***– ივანიშვილმა სააკაშვილის მიერ წარმოებულ არასწორ პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს?***

– რასაკვირველია. როდესაც ამ ხელისუფლებს თავიდან ბოლომდე აფინანსებდი ამ 8 წლის განმავლობაში და არაერთი საშინელება მოხდა შენი ფულის წყალობით, პასუხისმგებლობა ხომ უნდა იგრძნოს. თვითონ თქვა, რა სოროსი, მე თვითონ ვაფინანსებდიო. ივანიშვილმა აღიარა, მე უმრავლესობით მოვდივარ და სადღაც ორ-სამ წელიწადში სამაგალითო დემოკრატია უნდა ჩამოვაყალიბო ქვეყანაშიო. თან თქვა, სამი-ოთხი წელი ტელევიზორს საერთოდ არ ვუყურებდიო. გარკვეულ გამონათქვამებში თავის თავთან წინააღმდეგობაში მოდის. ის, რაც მოხდა ქვეყანაში და რა უბედურებაც ამ ხელისუფლებამ დაატრიალა 26 მაისს, ახლა მიხვდა ივანიშვილი? სასაცილოა, დღეს რომ ამბობს, არ ვიცოდი, რა საშინელებებს სჩადიოდა სააკაშვილის ხელისუფლებაო. ივანიშვილი თავისი ნებით და თავისი სურვილით პოლიტიკაში არ მოდის. ის მოდის სხვების დავალებით და არა რუსეთის.

# რა გარიგებები იდება პოლიტიკურ კულუარებში

ნინო მეტრეველი

პოლიტიკურ კულუარებში ახალ კულუარულ შეხვედრის შესახებ დაირხა ხმები. ითქვა, რომ რამდენიმე დღის წინ, შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში დემოკრატიისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად წასული პოზოცია-ოპოზიცია ერთმანეთს არა მხოლოდ კონფერენციაზე, ლანჩზეც შეხვდნენ ძალიან თბილ ვითარებაში, ფეშენებელური სასტუმროს რესტორანში. უფრო ზუსტად, ჭიქა ყავაზე „საჭორაოდ“ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, თბილისის მერი გიგი უგულავა, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია და ქრისტიან-დემოკრატების თავკაცი გიორგი თარგამაძე შეკრებილან. სასაუბრო თემა კონფერენციაზე განსახილველი დემოკრატია რომ არ იქნებოდა, ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა. შეკრებილებილთა სპექტრი დიდად არ იქნებოდა გასაკვირი მათ შორის ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი რომ არ დასახელებულიყო.

ირაკლი ალასანიას და გიგა ბოკერიას შეხვედრები აღარავის უკვირს. მათ შორის რაღაც იმაზე მეტი ხდება, ვიდრე ოფიციალურად ითქმევა ხოლმე, დიდ სამომავლო კავშირებს რომ ეძახიან, ისეთი.

ნაციონალურ მოძრაობის დაშლა გარდაუვალია. მიხეილ სააკაშვილს ორ წელში საპრეზიდენტო ვადა უთავდება და გასაკვირი არ არის, ხელისუფლებაში საკუთარი პოლიტიკურ თუ ფიზიკური ტყავის გადარჩენეზე უკვე ზრუნავდნენ. გადარჩენის გზის ძიებაში ვინ სად აღმოჩნდება, ამის გათვლა შეუძლებელია. იმის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, რომ ეს წელი პოლიტიკური სიურპრიზებით იქნება სავსე.

სტოკჰოლმის შეხვედრა სავარაუდოდ სწორედ პოლიტიკური მომავლის ჭვრეტის ერთ-ერთი რაუნდი იყო. როგორც კულუარებში ამბობენ, ნაცმოძრაობას პირველი თავისუფლების გუნდი დატოვებს. ამ გუნდის ლიდერები გიგი უგულავა და გიგა ბოკერია არიან. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე, იყო ვარაუდი, ამ გუნდის და ირაკლი ალასანიას დაახლოებაზე, რომლებსაც დემოკრატიული დასავლეთის ფლანგი უნდა დაეკავებინათ ჯერ ოპოზიციაში, შემდეგ ხელისუფლებაში. ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ კარტები თითქოს აირია, მაგრამ როგორც ჩანს, არც ისე, როგორც ერთი თვალის გადავლებით ჩანდა.


გიგა ბოკერია

სტოკჰოლმის თემას თუ გავაგრძელებთ, ბოკერია-უგულავა-ალასანიას ტრიუმვირატს დაემატა ალასანია-ივანიშვილის კიდევ ერთი პარტნიორი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. ანუ, თავისუფლების ინსტიტუტს პლუს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ერთობა. თუ გავიხსენებთ მაგნატის არაერთ განცხადებას, რომ მისთვის დასაკარგი ქართველი არ არსებობს, რომ სააკაშვილის ახლო წრე მსხვერპლია, რომ მათ არანაირი საშიშროება არ ემუქრებათ, მით უმეტეს თუ „დროზე მიეგებიან გონს“ და უარს იტყვიან სააკაშვილის ხელისუფლებაზე, ლოგიკას არ იქნება მოკლებული თქმა, რომ „გონს უკვე მოეგო“ თავისუფლების ინსტიტუტი, რომლებიც ივანიშვილის გამოჩენამდეც ეძებდნენ დასაყრდენს ოპოზიციაში ალასანიას სახით.

ვარაუდს, რომ სტოკჰოლმის კონფერენცია მხოლოდ საბაბი იყო ჭიქა ყავაზე შესახვედრად და პოლიტიკური გეგმების დასაწყობად, ხელს უშლის გიორგი თარგამაძის ყოფნა. თარგამაძე არც თავისუფლების ინსტიტუტთან ასოცირდება და არც ივანიშვილთან. ის უფრო ვანო მერაბიშვილის პოლიტიკურ ორბიტაზე უნდა ტრიალებდეს. ხშირად ამბობენ, რომ მერაბიშვილი არა მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებში წაუკრავს ხელს ქრისტიან-დემოკრატებს, შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც, მთელი აქცენტი პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი თარგამაძეზე გაკეთდეს.

გამორიცხული არ არის იმ სუფრაზე თარგამაძე უბრალოდ ზრდილობის გამო მოხვდა, მაგრამ არც რაიმე უფრო დიდის გამორიცხვა შეიძლება. ქრისტიან-დემოკრატების მხრიდან პრესაში ისეთი განცხადებები კეთდება, გამორიცხილი არ არის თარგამაძე და ივანიშვილი დაზავდნენ. ჩვენ მიუღებლები არა ბიძინა ივანიშვილისთვის, არამედ მისი წრის რამდენომე ადამიანისთვის ვართ და მტრებში ბიზნესმენმა ამიტომ ჩაგვრიცხა, თუ ხმამაღლა ის თავის განცხადებას შეცვლის მასთან თანამშრომლობისთვის მზად ვართო, განაცხადა ლევან ვეფხვაძემ მაქსიმალურად შერბილებული ტონით.

რამდენად ახლოსაა ეს ვარაუდები სიმართლესთან და შედგება, თუ არა საპარლამენტო არჩევნების წინ ივანიშვილი-თავისუფლების ინსტიტუტის რაიმე სახეობის ერთობა, ჯერ ზუსტად კაცმა არ იცის. თუ „ქართული ოცნების“ ფუძემდებელს ხელისუფლებაში მოსასვლელად დასავლეთისგან მართლა „დაბრო“ აქვს მიცემული, მაშინ ასეთი რაიმე სახის ალიანსი, ფარული და არა ღია, გამორიცხული არაა.

## „თავისუფალ ასოციაციათა კავშირის“ ორგანიზებით ე.წ. 100 სანთლის აქცია გაიმართა

ორგანიზაციებმა „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ და „თავისუფალ ასოციაციათა კავშირი“ პარლამენტის წინ გამართა ე.წ. 100 სანთლის აქცია, ლოზუნგით: „უმუშევართა საკონცენტრაციო ბანაკი – SOS“.

„თავისუფალ ასოციაციათა კავშირის“ ლიდერის, ალექსანდრე შალამბერიძის განცხადებით, მიუხედავად არაერთი მიმართვისა საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებისადმი, რომ გადაწყვიტოს უმუშევრობის უმწვავესი პრობლემა, ხელისუფლების პასუხი „უსაქმური მთავრობის წევრების სახლის ქუთაისში გახსნით გამოიხატა“.

მდგომარეობა უფრო მწვავეა, ვიდრე ეს გუშინ იყო. უმუშევრობით გაწამებული ადამიანები, რომელთაც საკუთარი თავისა და ოჯახის გამოკვების არანაირი პერსპექტივა არ გააჩნიათ, მძიმედ დასნეულებისა და სიკვდილის პირას არიან. საქართველო იქცა უმუშევართა საკონცენტრაციო ბანაკად, სადაც მხოლოდ პოლიცია და „ნაციონალური მოძრაობაა“ დასაქმებული.

**ინტერპრესნიუსი**

## თბილისის მერიის განცხადება ჯიხურებთან დაკავშირებით

ქალაქში არსებულ ჯიხურებთან დაკავშირებით თბილისის მერია განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

– მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, თბილისის მერიამ ახალი პროექტი დაიწყო. პროექტის მიხედვით, ქალაქში არსებული ძველი და უსახური ჯიხურების ნაცვლად, თბილისში უახლოეს მომავალში ახალი, თანამედროვე დიზაინის ჯიხურები დაიდგმება. აქამდე დედაქალაქის მასშტაბით 250-მდე ადგილზე იყო ჯიხურის ნებართვა გაცემული, დღეს ქალაქის მასშტაბით 1 000 ადგილია გამოყოფილი.



თბილისის მერიის მიზანია, დაინტერესებული პირებისთვის თანაბარი პირობის შეთავაზება. ამიტომაც შეირჩა ინტერნეტ აუქციონის ფორმა. ნებისმიერ ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირს, ვისაც ნებართვის საფუძველზე უკვე აქვს ჯიხური, ხელშეკრულების დასრულებამდე ჯიხურის აღება არ ევალება. ნებისმიერი სახის გამონაკლისი ან შეღავათი, რის საფუძველზეც გარკვეულ პირებს ჯიხურის ჩადგმის ნებართვა ინტერნეტ აუქციონის გარეშე მიეცემათ, გამოიწვევს იმ ადამიანების უფლებების დარღვევას, რომლებმაც აუქციონში მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს. იგივე მიზეზის გამო მერია ვერ დაუშვებს გამონაკლისს და უნებართვო ჯიხურებს ვერ დატოვებს ქალაქში, რადგან ამ შემთხვევაშიც ზარალდებიან ის მეწარმეები, რომლებმაც გაიმარჯვეს აუქციონში და იხდიან იჯარის გადასახადს.

აუქციონში მონაწილეებისთვის შეზღუდვები არ არსებობს. მსურველებს შეუძლიათ პრესასთან ერთად ჯიხურში სხვადასხვა სახის პროდუქცია განათავსონ, როგორც ეს აქამდეც ჰქონდათ. ამით ისინი ჩვეულებრივ კონკურენტუნარიანები ხდებიან. როდესაც საუბარია, რომ ეს ბიზნესი ვერ გაუძლებს კონკურენციას, გაურკვეველია, რადგან პრესის ჯიხურებში აქამდეც იყიდებოდა თამბაქო, გამაგრილებელი სასმელები, თუ სხვა სახის პროდუქცია. ასევე, ამ პირებს შეუძლიათ გააფორმონ ხელშეკრულებები გამარჯვებულ კომპანიებთან.

დღემდე ჩატარებულია სულ ხუთი აუქციონი, სადაც გამოტანილი იყო 250 ლოტი, აქედან 93 ლოტზე გამოვლინდა გამარჯვებული, 157 ლოტზე კი კონკურენცია არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა იმ ადამიანების პრეტენზია, ვინც აცხადებს, რომ კონკურენციას ვერ უძლებენ. უკვე ჩატარებულმა აუქციონებმა აჩვენა, რომ აუქციონში მონაწილეობა მიიღეს პრესის გამავრცელებელმა კომპანიებმა. ზოგმა შეძლო გამარჯვება, ზოგმა ვერა, თუმცა, ესეც კანონზომიერია, რადგან კონკურენცია არის ჯანსაღი და გამჭვირვალე.

თბილისის მერიაში მიიჩნევენ, რომ ამ საკითხის პოლიტიზირება არასწორია, რადგან საქმე ეხება ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის შექმნას, ბიზნესის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას. თითო ჯიხურში დაახლოებით 3, 4 ადამიანი დასაქმდება, რაც მინიმუმ ათასამდე სამუშაო ადგილს შექმნის.

შეგახსენებთ, რომ ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს შევიდეს ვებ-გვერდზე: იაუცტიონ.გე დარეგისტრირდეს, აირჩიოს მისთვის სასურველი ადგილი, გადაიხადოს 500 ლარი ბე-ს სახით და ჩაერთოს ელექტრონულ აუქციონში. იჯარის წლიური საწყისი ფასი არის 1000 ლარი, – ნათქვამია თბილისის მერიის განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## ზედამხედველობის სამსახურმა „პლანეტა ფორტესა“ და „მაცნეს“ ჯიხურების ასაღებად 2-დღიანი ვადა მისცა

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა პრესის გამავრცელებელ კომპანიებს – „პლანეტა ფორტესა“ და „მაცნეს“ საკუთარი ჯიხურების ასაღებად 2-დღიანი ვადა მისცა . ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თავად კომპანიების წარმომადგენლებმა განუცხადეს.

– დღეს მერიაში პრესის სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლები ცალ-ცალკე დაგვიბარეს და გვითხრეს, რომ ჩვენი ჯიხურები ორი დღის ვადაში უნდა ავიღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონით მინიჭებული უფლებით ისარგებლებენ. აღნიშნულის მიზეზად ზედამხედველობის სამსახური ნებართვების უქონლობას ასახელებს. წლების წინ, როცა ჯიხურები ჩავდგით, მხოლოდ მერიის შესაბამისი დადგენილება იყო საკმარისი, რაც გვაქვს, თუმცა ისინი მიწის იჯარის საბუთს ითხოვენ, რაც ახლახანს შემოიღეს და, ბუნებრივია, არ გვექნება, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ „პლანეტა ფორტეს“ ხელმძღვანელმა მერაბ ჩანჩალაშვილმა.

მისივე განმარტებით, მას ექვსი ჯიხურის აღება მოსთხოვეს, რის გამოც დაახლოებით 10-მდე თანამშრომლის შემცირება მოუწევს.

– თავიდან 80 ჯიხური მქონდა. ნელ-ნელა ამაღებინეს და დამრჩა 38. ახლა კიდევ 6 უნდა ავიღო. ეს ნიშნავს, რომ ორგანიზაცია დახურვის პირასაა, – აღნიშნა მან.

„მაცნეს“ წარმომადგენლის, თინათინ ხარბედიას განცხადებით კი, ჯიხურების აღება „მაცნესაც“ მოსთხოვეს.

– საუბარია 12 ჯიხურის აღებაზე, თუმცა ზუსტად რა რაოდენობის ჯიხურების აღება უნდა მოხდეს და რა მისამართებიდან, ზედამხედველობის სამსახურიდან წერილობით პასუხს ველოდებით, – განმარტა თინათინ ხარბედიამ.

არსებული ინფორმაციით, მერიის მიერ სავაჭრო ჯიხურების დადგმაზე აუქციონი ძირითადად სწორედ იმ ადგილებზეა გამოცხადებული, სადაც უკვე დგას პრესის გამავრცელებელი ჯიხურები.

**ინტერპრესნიუსი**

## „ქვეყანას ჰყავს გარყვნილი ხელისუფლება“

თამარ ნინიძე

**პოლიტიკური ორგანიზაცია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი იხსენებს რვა წლის წინ მის მიერ გაკეთებულ პროგნოზს, რომ ვარდების რევოლუცია ქვეყანას უბედურებას მოუტანდა. გუშინდელ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ კოლეგა პოლიტიკოსებს აფრთხილებდა, ფაშიზმი მოდის და სააკაშვილი თქვენი შექმნილიაო.**



თემურ შაშიაშვილი

– ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსოლუტურად რყვნის, ქვეყანას ჰყავს გარყვნილი ხელისუფლება. სააკაშვილს თავისი ტყუილების სჯერა, საცოდავი, ტრაგიკული ადამიანია, – მიაჩნია შაშიაშვილს. მისი ინფორმაციით, ხელისუფლებამ მხილების მუზეუმი დააპატიმრა, თავად შაშიაშვილს ეამაყება, რომ მაისის მოვლენების მონაწილე იყო.

შაშიაშვილმა ცოტა ხნის წინ სააკაშვილს წერილი მისწერა, სადაც ირკვევა, რომ ხელისუფლებამ ,,თეთრების“ ლიდერს სერიოზული ბრალდებები წამოუყენა, მაგალითად, ხელისუფლება ავრცელებს ინფორმაციას, რომ შაშიაშვილმა ვალერი გელაშვილისგან 150 ათასი დოლარი აიღო და პირადი ინტერესებისთვის დაუხარჯავს ეს თანხა. ამ ბრალდებების საპასუხოდ შაშიაშვილი სააკაშვილს მიმართავს:

,,ნუთუ მართლა გგონიათ, რომ საარსებო მინიმუმი 100–130 ლარია, ნუთუ გჯერათ, რომ ქვეყანაში კორუფცია არ არის, ნუთუ არ იცით, როგორ ცხოვრობენ თქვენი ხელისუფლების წევრები, სხვისი სახლების სურათებს რომ უფრიალებდით შევარდნაძეს, ვერ ხედავთ, სად ცხოვრობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, რა ქონებას ფლობენ კოდუები, ახალაიები, ბეჟუაშვილები, ბოკერიას ოჯახი, კეზერაშვილი, უგულავას ოჯახი, მერაბიშვილი და საერთოდ თქვენი მინისტრები, დეპუტატები, გუბერნატორები, მერები, გამგებლები, არ იცით, რომ ყველა ტენდერს ხელისუფალთა ოჯახის წევრები განაგებენ. ყველამ იცის რა ქონებას და ბიზნესს ფლობენ თქვენი ოჯახის წევრები: დედა მამა, ძმები, ბებიაც ზომაზე მეტად აქტიურია...’’

პოლიტიკური ორგანიზაცია ,,თეთრები“ აანალიზებენ ვარდების რევოლუციის რვა წლისთავზე განათლების, ჯანდაცვის სფეროებში შექმნილ მდგომარეობას, ეკონომიკურ ვითარებას, პოლიტიკურ პროცესებს, მედიის თავისუფლების ხარისხს, პარტიების დევნის ფაქტებს; მაგალითად შაშიაშვილს მოჰყავს 2012 წლის ბიუჯეტი, რომელშიც სახელმწიფო დაცვის სამსახურისთვის გამოყოფილია 47 მილიონი ლარი, კულტურისთვის 55 მილიონი, სოფლის მეურნეობისთვის 61 მილიონი.

შაშიაშვილი აცხადებს, რომ გამოკითხვაში, უჭერენ თუ არა სააკაშვილის იმპიჩმენტს მხარს, მონაწილეობდა 6310–ზე მეტი რესპონდენტი, აქედან 83% მხარს უჭერს სააკაშვილის იმპიჩმენტს, 14% არ უჭერს მხარს, 3%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია. ივანიშვილის ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ კი იმპიჩმენტის მომხრე რესპონდენტთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. ყოველივე ამის ფონზე, შაშიაშვილის თქმით, კვლავ აქტუალურია ღირსების ულტიმატუმი, რომელიც ,,თეთრებმა“ ორი წლის წინ გამოაქვეყნეს.

ამ დოკუმენტში ,,თეთრები“ სთავაზობენ სააკაშვილის ხელისუფლებას გაზარდოს პენსიები, ხელფასები, სტიპენდიები და მისი ოდენობა განისაზღვროს დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ მსოფლიოში მიღებული პრინციპების საფუძველზე; მოხდეს პოლიტპატიმართა განთავისუფლება; მოხდეს წართმეული ქონების უპირობოდ დაბრუნება, საზოგადოებრივი ტელევიზია დაუბრუნდეს საზოგადოებას, ტელეკომპანია ,,იმედი“ – მის კანონიერ მფლობელს; გამოქვეყნდეს პრემიერ-მინისტრ ჟვანიას სიკვდილის გამოძიების შედეგები; ყოველთვიურად გამოქვეყნდეს ყველა დონის ბიუჯეტში შესული თანხების მოცულობა, წყაროები და ხარჯვის ინფორმაცია; ექსპერტთა მიერ შესწავლის საფუძველზე გამოქვეყნდეს საკვები პროდუქტების ნამდვილი ღირებულება, სავარაუდოდ, ის ხელოვნურად არის გაძვირებული; შეიქმნას გახმაურებულ ,,ქუჩის მკვლელობათა“ საქმეების შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისია; თანამდებობიდან მოიხსნან და პასუხისგებაში მიეცნენ ის პირები, ვინც ამ მკვლელობებთან არიან დაკავშირებული; გამოქვეყნდეს სუკის აგენტების სია; საჯარო გახდეს პრეზიდენტის და სხვა თანამდებობის პირთა ე.წ. ფონდების შესახებ ინფორმაცია; გამოქვეყნდეს თანამდებობის პირთა ხელფასების შესახებ სრული ინფორმაცია პრეზიდენტის ჩათვლით და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ ეს წინადადებები ხელისუფლების მიერ არ იქნება გათვალისწინებული, საზოგადოებამ უნდობლობა გამოუცხადოს ხელისუფლებას.

## კონტროლის პალატამ სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტები გამოავლინა

შორენა გონგლაძე

**საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა, გიორგი ალასანიამ ჟურნალისტებს ტუბერკულოზის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის აუდიტის შედეგები გააცნო.**

როგორც გიორგი ალასანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აუდიტის შედეგად ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პირების მიერ დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერად განკარგვისა და სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტები გამოვლინდა.

ალასანიას განცხადებით, ცენტრის ფინანსურმა დირექტორმა ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო და საკვები პროდუქტების მოსამარაგებლად, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებები გააფორმა თავისივე დაფუძნებულ და მასთან დაკავშირებულ 6 სხვადასხვა კომპანიასთან. გიორგი ალასანიას თქმით, დირექტორის ხელშეწყობით, აღნიშნულ კომპანიებს ხელშეკრულებებს უფორმებდნენ დაფუძნებიდან რამდენიმე დღეში ისე, რომ ეს კომპანიები სხვა რაიმე სახის სამეწარმეო საქმიანობას არ ეწეოდნენ.

ალასანიას თქმით, 2008-2011 წლებში აღნიშნულ კომპანიებს ცენტრის ბიუჯეტიდან გადაერიცხათ 1 135 755 ლარი, რაც ცენტრის შეყიდვების 31%-ს აჭარბებს.

– სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ტუბერკულოზით დაავადებულთა ქირურგიული ოპერაციების ღირებულება გაზრდილია ხელოვნურად, ქირურგიული ოპერაციის ღირებულების 62% შეადგენს სამედიცინო მასალებს, რომელიც პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეძენილია 4 174 ლარად. აღნიშნული მასალების რეალური ღირებულება კი არ აღემატება 1 200 ლარს. აუდიტით დადგინდა, რომ 2008-2011 წლებში აღნიშნული სამედიცინო მასალები გამოყენებული იყო ოპერაციების მხოლოდ 20%-ში. აღნიშნულის მიუხედავად, ძვირადღირებული სამედიცინო მასალის ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულია ყველა ოპერაციისათვის. აღსანიშნავია, რომ ძვირადღირებულ სამედიცინო მასალებს ცენტრი ყიდულობს ამავე ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელისაგან, – განაცხადა გიორგი ალასანიამ.

კონტროლის პალატის ინფორმაციით, ქირურგიული ოპერაციების ხელოვნურად გაზრდილი ფასის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2008-2011 წლებში არამიზნობრივად გაიხარჯა 1 122 404 ლარი. როგორც გიორგი ალასანია აცხადებს, ტუბდისპანსერებში ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების განთავსების საწოლი დღეების ხელოვნურად გაზრდის შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზედმეტად ანაზღაურდა 99 400 ლარი.

– აღნიშნულიდან გამომდინარე, ტუბერკულოზის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის არაჯეროვანი მართვის გამო, 2008-2011 წლებში არამართლზომიერად გაიხარჯა 2 400 000 ლარი“, – აცხადებს გიორგი ალასანია.

მისივე თქმით, აუდიტის მასალები გადაეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს გაატარებენ.

## „თრიალეთი“ მედიაზე ზეწოლის ფაქტების შემსწავლელი კომისიის შექმნას ითხოვს




რეგიონული ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი“ სამართალდამცავ ორგანოებს უნდობლობას უცხადებს და მედიის წარმომადგენლების მიმართ ზეწოლის ფაქტების შესასწავლად სპეციალური კომისიის შექმნას მოითხოვს.

აღნიშნული ინციატივით რეგიონულმა ტელეკომპანიამ გუშინ არასამთავრობო სექტორს მიმართა.

როგორც „თრიალეთის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, დღესდღეობით ჟურნალისტების უფლებებს ყველაზე ხშირად ხელისუფლების წარმომადგენლები არღვევენ და არც ერთი შემთხვევა სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიებული არ არის, ამიტომ მიაჩნიათ, რომ ეს საქმე სხვა უფრო ობიექტურმა უწყებამ უნდა შეითავსოს.

– მივმართავთ არასამთავრობო სექტორს, ხელი შეწყოს საზოგადოებრივი კომისიის, ან საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის შექმნას, სადაც გაწევრიანდებიან როგორც არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების, ისე მედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისია შეისწავლის კონკრეტული ზეწოლის ფაქტებს, მონიტორინგს გაუწევს საგამოძიებო პროცესებს, მოითხოვს იმ პირების დასჯას, ვინც მედიის წარმომადგენლებს პროფესიულ საქმიანობაში უშლის ხელს და მათზე ზეწოლებს ახორციელებს და რაც მთავარია, საჯაროს გახდის ყველა ფაქტს და გააცნობს საერთაშორისო საზოგადოებას, – აღნიშნულია „თრიალეთის“ განცხადებაში

„თრიალეთის“ წარმომადგენლები ასევე წინადადებით მიმართავენ საქართველოში მოქმედ ფონდებს, რათა ასეთი ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნას ფინანსური მხარდაჭერა გაუწიონ. საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს კი მოუწოდებენ, მხარი დაუჭირონ საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის შექმნას, მოხდეს ორგანიზაციაში მათი წარმომადგენლების ჩართულობა.

**მედიანიუსი**

# გიგი უგულავა თბილისელებს დასცინის

ნათია ხურცილავა

— მერიამ ისევ გააგრძელა ბიუჯეტის 'კაბინეტური" ფორმირება და ამჯერად ტრადიციულად ატარებს პიარ-კამპანიას პრიორიტეტების დადგენის მიზნით. მოსახლეობის ე.წ. გამოკითხვას. ეს აბსურდი სამი წელია, რაც გრძელდება. ჯერ მერია განსაზღვრავს თუ რომელ სფეროში რამდენი უნდა დახარჯოს, მერე მოსახლეობას ეკითხება — თქვენ რა მიგაჩნიათ პრიორიტეტად, — ამბობს აბაშიძე.

პრაქტიკულად თბილისის ბიუჯეტი გაუმჭვირვალეა, რაც კრიტიკას ვერ უძლებს. ასეთია საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატების პოზიცია.

— თავისუფალმა დემოკრატებმა ჯერ კიდევ მაისში მივმართეთ ბატონ უგულავას, რომ შეგვექმნა ერთობლივი კომისია ოპოზიციისა და ექსპერტთა მონაწილეობით ბიუჯეტის ფორმირების მიზნით, რაც უგულებელყოფილი იქნა. მაშინვე მივხვდით, რომ ნოემბერში ზემოთ ნახსენებ გამოკითხვას დაიწყებდნენ, — ამბობს ზურაბ აბაშიძე.

თავისუფალი დემოკრატები აცხადებენ, რომ მერის მხრიდან დარიგებული კითხვარები ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებით ცინიზმი არის და სხვა არაფერი.

— სწორედ ამ ცინიზმის წინააღმდეგ გამოვდივართ ჩვენ, როდესაც დასმული არის, მაგალითად, ეს შეკითხვა: გსურთ თუ არა სამუშაო ადგილები გაიზარდოს ქვეყანაში? განვითარდეს მცირე ბიზნესი? სამედიცინო სერვისები და დაზღვევა თუ გვინდა? ასევე თუ გვინდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება? არ ვიცნობ არც ერთ ასეთ ადამიანს, ვისაც ეს არ სურდეს, — ამბობს ზურაბ აბაშიძე.

მისი თქმით, კურიოზულია, დამცინავი რომ არ იყოს ის ფაქტი, როდესაც არის შეკითხვა — გსურთ თუ არა თქვენს უბანში შეღავათიან ფასებში სასურსათო ბაზრობების მოწყობა?

— ნამდვილად არ ვიცნობ ასეთ ადამიანს, ვისაც არ უნდოდეს შეღავათიან ფასებში პროდუქტის შეძენა, როდესაც ქვეყანაში უკიდურესი სიღარიბეა. ეს შეკითხვები იმაზე კი არ არის ორიენტირებული, რომ მის პასუხებზე აიგოს დედაქალაქის ბიუჯეტი, რადგან ბიუჯეტი თავიდან ბოლომდე უკვე დაგეგმილია, რომელსაც ალბათ საკრებულო მიიღებს. ამასთან დაკავშირებით მინდა კონკრეტული ფაქტები გითხრათ. მოსახლეობისთვის არავის უკითხავს, რომ მერიის სისტემაში შრომითი ხარჯები გაიზარდოს თუ არა სამი მილიონი ლარით. ასევე არავის უკითხავს მოსახლეობისთვის, რომ დასუფთავების მოსაკრებელი ანუ 'ნაგვის ბიზნესი", რომელიც უგულავამ დაამკვიდრა, არ აისახოს ბიუჯეტში და ფარულად მოახდინოს მისი მონოპოლიური პრივატიზება. ასევე მოსახლეობას არ განუსაზღვრავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ანუ ნაციონალური მოძრაობისთვის შრომის ანაზღაურებისთვის 16, 9 მლნ ლარი დაიხარჯოს. ასევე თბილისელებს არ განუსაზღვრავთ, რომ გუდაურის განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრები 2.5 მილიონი ლარიდან 9 მილიონ ლარამდე გაიზარდოს, — ამბობს აბაშიძე.

**თავისუფალი დემოკრატების, საკრებულოს წევრები ზურაბ აბაშიძე და ვიქტორ დოლიძე 2012 წლის დედაქალაქის ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერენ. ამის მიზეზად ისინი ბიუჯეტის პროექტის არატრანსპარენტულობას ასახელებენ.**


ზურაბ აბაშიძე

**ზურაბ აბაშიძე:**

—ბიუჯეტი გაუმჭვირვალეა იმ მიმართულებითაც, რომ ნაგვის თემა, რომელიც პრინციპულია, მისი გაზრდილი გადასახადი საერთოდ არ არის ბიუჯეტში ასახული. ეს ნიშნავს იმას, რომ მთელი თანხები, რომელიც მოსახლეობის ჯიბეებიდან იქნება ამოღებული, ვერ გავიგებთ რაში იხარჯება და როგორ იხარჯება.

***— რატომ არის დედაქალაქის ბიუჯეტში გუდაურის განვითარებისთვის 9 მილიონი ლარი გამოყოფილი?***

— ეს კითხვა არაერთხელ დავსვით ჩვენ და ასეთი პასუხი მივიღეთ: თურმე თბილისის მერიას ისე კარგად აქვს მოწყობილი მენეჯმენტის სისტემა, რომ მას შეუძლია სხვა რეგიონებს გაუწიოს დახმარება, რაც სრულიად არასწორია. სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარება აუცილებელია, მაგრამ ეს ადგილობრივ დონეზე უნდა ხდებოდეს. არსებობს გუბერნია, გამგეობა და ისინი უნდა ახორციელებდნენ ამ პროექტს. არ მესმის და არ ვიცი, რატომ უნდა ახორციელებდეს თბილისის მერია ამ პროექტებს? ძალიან ბევრი პრობლემაა თბილისში ავარიული სახლებიდან დაწყებული, ადამიანების სოციალური პრობლემები, რომელსაც თბილისის მერია უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს. ასევე ნაგვის გადასახადის დენზე მიბმა, ასევე ტრანსპორტის პრობლემა, რომელიც მძიმედ დგას დედაქალაქში. 9 მილიონი ლარი ძალიან ბევრ გაჭირვებულ ადამიანს გადაუჭრიდა პრობლემას, მაგრამ კურორტი არის ასაშენებელი გუდაურში.

თავისუფალი დემოკრატები აცხადებენ, რომ რადგან ასეთი 'ნოვაციურ პრიორიტეტულია" ბიუჯეტი, ნაციონალურ მოძრაობას პროფესიული დისკუსია არ უნდა.

ვიქტორ დოლიძის განცხადებით, დღეს დედაქალაქის მოსახლეობამ არ იცის, სად მდებარეობს სასწრაფო-სამედიცინო დახმარება.

— ქალაქის მოსახლეობამ არ იცის, სად არის დღეს სასწრაფო დახმარება. გასულ წელს საგანგებო სიტუაციების სამსახურს შეუერთეს, ახლა ისევ უკან დააბრუნეს. მომავალ წელს რა იქნება, არავიან არ იცის, — ამბობს დოლიძე.

— მოსახლეობას არ განუსაზღვრავს, რომ ჯანდაცვის ხარჯები გაიზარდოს და აქედან 16 მილიონი ლარი ჯანდაცვის დაზღვევის ე.წ. პოლისებზე დაიხარჯოს. მოსახლეობამ თქვა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი 'ზითუმად ყიდულობს" ამ პოლისებს და რა შუაშია მერია, — ამბობს დოლიძე.

თავისუფალი დემოკრატები იმ მოსახლეობის, რომლებიც თავშესაფრის მაძიებლები არიან, სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილებას ითხოვენ, რადგან ისინი აცხადებენ, რომ ეს თავად მოსახლეობის მოთხოვნაა.

— პირადად მივწერე წერილი უგულავას კონკრეტული პროგრამა 2012-2014 წლებში განხილულიყო, მაგრამ პასუხი დღემდე არ დამბრუნებია. ამაზე არც მერს და არც სხვა წარმომადგენლებს პასუხი არა აქვთ, — ამბობს ვიქტორ დოლიძე.

მისივე განცხადებით, მსგავსი გაუმჭვირვალე ბიუჯეტი ელიტური კორუფციის კარგი წყაროა.

— ამიტომ, ჩვენ მხარს არ დავუჭერთ ამ ბიუჯეტს. მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად არ მაქვს ილუზია, რომ ისინი ვერ მიიღებენ ამ ბიუჯეტს. ასეთი მანიპულაციებით ისინი ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯების „კანონით გათეთრებას" ახდენენ, — ამბობს ვიქტორ დოლიძე.

საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატების განცხადებით, მათ არაერთი კითხვა დასვეს ბიუჯეტთან დაკავშირებით, მაგრამ ვერც ერთ კითხვაზე ვერ მიიღეს კონკრეტული პასუხი.

— კომისიის რამდენიმე სხდომა ჩაატარეს. ჩვენც ვესწრებოდით, დავსვით კითხვები, მაგრამ ვერც ერთ კითხვაზე კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ. დეტალებში რომ ჩავეძიეთ და ცნობილი გახდა თუ რაზე იყო ეს ბიუჯეტი აგებული, დაგვრჩა ის შთაბეჭდილება, რაზეც უკვე მოგახსენეთ, — განაცხადა დოლიძემ.

დედაქალაქის ბიუჯეტი, რომელსაც საკრებულო დაამტკიცებს, 643 მილიონი ლარით განისაზღვრება, რომელიც, ზურაბ აბაშიძის განცხადებით, ყოველწლიურად მცირდება გაუგებარი მიზეზებით.

# საქართველომ ევრაზიულ კავშირში „კეთილმეზობლური" შეთავაზებისგან თავდაცვის მექანიზმებზე უნდა იფიქროს

**აგვისტოს ომის რეალური მიზეზები პრეზიდენტ მედვედევის განცხადებებში, თუ რა პერსპექტივა აქვს ევრაზიულ კავშირს, რომლის გეოპოლიტიკური პროექტით პუტინი კრემლში ბრუნდება; რა რეაქცია ექნება პუტინის გეგმებზე დასავლეთს, „ინტერპრესნიუსი" ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში, ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.**

***— ბატონო ირაკლი, რუსეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა ვლადიკავკაზსა და როსტოვში გაკეთებული განცხადებებით პრაქტიკულად აღიარა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს ნატოში სწრაფვის შეჩერებას უკავშირდებოდა. მედვედევმა თქვა ის, რაც დასავლეთში ისედაც კარგად იციან, მაგრამ თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს მედვედევის „გულწრფელობის" სწორედ ახლა დემონსტრირება?***


ირაკლი მენაღარიშვილი

— არა მგონია, რამე განსაკუთრებულ მოვლენასთან გვქონდეს ადგილი. ჩემი აზრით, ბატონმა მედვედევმა ჩათვალა, რომ ომიდან საკმარისი დრო გავიდა, ომის შედეგები გადახედვას არ ექვემდებარება და ახლა ღიად შეუძლია თქვას, როგორ შეაჩერა ნატო კავკასიაში. არც ერთ სერიოზულ პოლიტიკოსსა და ანალიტიკოსს არც ადრე შეპარვია ეჭვი იმაში, რომ რუსეთი 2008 წელს სწორედ დასავლეთს ებრძოდა საქართველოში. რუსეთი 2008 წელს ამტკიცებდა, რომ მისი მიზანი სულაც არ იყო საქართველოს ნატო-ში სწრაფვის შეჩერება. მაშინ იგივე მედვედევი ამტკიცებდა, რომ რუსეთმა საქართველოს აგრესია და ოსი ხალხის მოსალოდნელი გენოციდი აღკვეთა.

საგულისხმოა, რომ არა მარტო პრეზიდენტ მედვედევის ეს კონკრეტული განცხადება, არამედ რუსეთის მთელი მმართველი გუნდის წინასაარჩევნო რიტორიკის საგანი სულ უფრო ხშირად ხდება საკმაოდ „საინტერესო თემები" — ახალი ინტეგრაციული ევრაზიული კავშირის პროექტი, საბჭოთა ნოსტალგიის ხაზგასმა და არა მხოლოდ პოლიტიკოსების მიერ. ერთი სიტყვით, მედვედევის უკანასკნელი განცხადება საერთო კონტექსტში კარგად ეწერება.

***— როგორი რეაქცია ექნება მედვედევის განცხადებებზე ნატო-ს, იგივე აშშ-ს? დასავლეთის მხრიდან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებაზე რუსეთის ვეტოს აღიარება ხომ არ იქნება იმავე დასავლეთის მხრიდან იმის აღიარებაც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის გავლენის სფერო და, როგორც რუს პოლიტოლოგებს უყვართ თქმა, „რუსეთის უკანა ეზოა"?***

— იმედი მაქვს, რომ — არა. შესაძლოა, დასავლეთში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყოს, მაგრამ სერიოზულ პოლიტიკოსთა შორის არა მგონია, კითხვის ნიშანი გაჩნდეს. ეს მხოლოდ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისადმი სიმპათიებით არ არის განპირობებული. რასაც უკანასკნელ პერიოდში ასე აქტიურად აცხადებენ რუსეთის ლიდერები, უბრალოდ, საშიში ხდება დასავლეთისთვის. ხოლო, რეალიზებული სახით ეს არის იმ „ბოროტების იმპერიის" აღდგენა, რომლის დაძლევასაც დასავლეთმა ათწლეულები შეალია. პოსტსაბჭოთა სივრცეზე სსრკ-ს მსგავსი სახელმწიფოს შექმნა, დასავლური ცივილიზაციისთვის ერთმნიშვნელოვნად საფრთხეა.

***— მედვედევის განცხადებები ნატო-სთვის საქართველოს საკითხში გაფრთხილებად ხომ არ შეიძლება იქნას აღქმული? და კიდევ, რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ თუ საქართველომ ნატო-სკენ სვლა გააგრძელა, კრემლი საქართველოსთან კიდევ ერთ ომს დაიწყებს?***

— საქართველოს, მისი ევროატლანტიკური მისწრაფების გამო, მუქარა არ დაკლებია, ამიტომ ეს განცხადება, რაიმე ორიგინალობით არ გამოირჩევა. ამ ტიპის განცხადება გაფრთხილება და მუქარა იმდენად შეიძლება იყოს, რამდენადაც ჩვენ შეიძლება შეგვეშინდეს ამგვარი გამონათქვამების. მე არა მგონია, რომ საქმე ასე იყოს.

***— პუტინი კრემლში ევრაზიული კავშირის შექმნის გეოპოლიტიკური იდეით ბრუნდება. აშკარაა, რომ ევრაზიული კავშირი უწინარესად არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური პროექტია. თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს ევრაზიულ კავშირს და როგორ უნდა მოიქცეს ოფიციალური თბილისი იმ შემთხვევაში, თუ კრემლმა თბილისს ევრაზიულ კავშირში შესვლა შესთავაზა?***

— უეჭველია, რომ ევრაზიული კავშირის იდეა პოლიტიკური პროექტია და ეს საბჭოთა რეალობის დაბრუნებისა და ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნების მცდელობაა. ამის საბუთებს ამ დღეებში თავად რუსეთის ხელმძღვანელი ტენდემი და მისი ახლო გარემოც

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## „ქართული ოცნების" პრეზენტაცია 11 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გაიმართება



საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" პრეზენტაცია 11 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გაიმართება.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ივანიშვილის პრესსამდივნოდან აცნობეს, წერილობითი თანხმობა ფილარმონიის ადმინისტრაციისგან დღეს მიიღეს. „პრეზენტაცია 25 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი, მისი გადადების მიზეზი კი ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობები გახდა. გვინდა, საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ 3 ნოემბრიდან მოყოლებული დღემდე, ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სპორტის სასახლის ადმინისტრაციასთან, თუმცა, პასუხი დღემდე არ მიგვიღია. სპორტის სასახლის გამოყოფას ჩვენ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო ვითხოვდით, რათა ყველა მსურველს ჰქონოდა „ქართული ოცნების" პრეზენტაციაზე დასწრების საშუალება",-აღნიშნულია პრესსამდივნოს განცხადებაში.

მათივე თქმით, სპორტის სასახლის ადმინისტრაციის თანხმობის შემთხვევაში, ისინი უფლებას იტოვებენ, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე „ქართული ოცნების" პრეზენტაციამ სპორტის სასახლეში გადაინაცვლოს. „მზად ვართ, ამ შემთხვევაში, ფილარმონიის ადმინისტრაციას პირგასამტეხლოც გადავუხადოთ. ჩვენი ინფორმაციით, იმ დროისთვის სპორტის სასახლეში არანაირი ღონისძიება დაგეგმილი არ არის და, შესაბამისად, არ არსებობს რეალური მიზეზი, რის გამოც შესაძლოა სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ დარბაზის გამოყოფაზე უარი გვითხრას. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად ყველაფრისა, სპორტის სასახლე მაინც უარს იტყვის, თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში სამწუხაროდ ყველა მსურველს დასწრების საშუალება არ მიეცემა, რისთვისაც საქართველოს მოსახლეობას წინასწარ ვუხდით ბოდიშს. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ „ქართული ოცნების" პრეზენტაციის თარიღის შეცვლა არ მომხდარა ჩვენი ინიციატივით და მოლაპარაკებების გაჭიანურება მიზანმიმართულად ხორციელდება, რაც პირველი შემთხვევა არ არის", - აცხადებენ ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოში.

ინტერპრესნიუსი

## ევროპარლამენტის წევრები რუსთავის იუსტიციის სახლს ეწვივნენ

გუშინ რუსთავის იუსტიციის სახლს ევროპარლამენტის წევრები ეწვივნენ. სტუმრებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძე შეხვდა. გიორგი ვაშაძემ მათ დეტალური ინფორმაცია გააცნო სახელმწიფო მომსახურების სფეროში გატარებული რეფორმების შესახებ. მისი თქმით, სწორედ ამ რეფორმების გატარების შემდეგ გახდა შესაძლებელი განხორციელებულიყო ერთ-ერთი ყველაზე ნოვატორული და მასშტაბური პროექტი — იუსტიციის სახლი.

ევროპარლამენტის დელეგაციამ თვითმომსახურების, სწრაფი და ხანგრძლივი მომსახურებების სივრცეები დაათვალიერა და იუსტიციის სახლების ფუნქციონირების მექანიზმებს გაეცნო. სერვისცენტრების თანამშრომლებმა კი კონკრეტული მომსახურებების შესახებ დელეგაციის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს.

იუსტიციის სახლი — იუსტიციის სამინისტროს სერვისების სრულიად ახალი კონცეფციის მქონე საჯარო დაწესებულებაა, სადაც სხვადასხვა სტრუქტურის სერვისების მიღება მოქალაქეებისათვის ერთ სივრცეშია შესაძლებელი. აქ მომხმარებელს შეუძლია, ერთდროულად მიიღოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ეროვნული არქივის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, ნოტარიუსთა სერვისები. ევროპარლამენტის წევრები საქართველოში სამდღიანი ვიზიტით იმყოფებიან, ამ დროის განმავლობაში მათ შეხვედრები გამართეს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლებთან, ასევე — ქვეყანაში აკრედიტებული უცხოური მისიების ხელმძღვანელებთან. დელეგაცია საქართველოს 25 ნოემბერს დატოვებს.

მედიანიუსი

# საქართველომ ევრაზიულ კავშირში „კეთილმეზობლური“ შეთავაზებისგან თავდაცვის მექანიზმებზე უნდა იფიქროს

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ვა უხვად იძლევა. პუტინმა სსრკ-ს დაშლას საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა უწოდა. სულ ახლახანს, იგივე თეზისი რუსეთის მართმადიდებლური ეკლესიის სულიერმა ლიდერმა, კირილმა გაიმეორა და სსრკ-ს დაშლა „რუსეთის განვითარების ისტორიული გზიდან გადახვევად“ შეაფასა. ორიოდე დღის წინ, პოლიტიკური აზროვნების მორიგი „მარგალიტი“ მედვედევმა შემოგვთავაზა, როცა ავად სახსენებელი ბრეჟნევის პერიოდის თეზისი გაიხსენა – „სსრკ-ში ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის არსებობის შესახებ.“

პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრებმა ხალხებმა საბჭოთა პერიოდშიც და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც საკმარისად იწვნიეს, რათა ამგვარ სატყუარაზე არავინ წამოეგოს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთვის ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია ასეთი იდეის შეთავაზება. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ევრაზიული კავშირის პროექტს ევროინტეგრაციის მოდელთან არაფერი საერთო არ აქვს. ევროპა თავის გაერთიანებაში არავის არ იწვევს და, მით უმეტეს, მასში გასაწევრიანებლად ხელს არ უგრეხს. ევროკავშირი მიზიდულობის ძალით მოქმედებს და მათ, ვისაც ევროკავშირში შესვლა სურთ, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის სივრცეს სთავაზობს. სამწუხაროდ, რუსეთი სწორედ ამის საწინააღმდეგოს აკეთებს ისევე, როგორც საკუთარივე დსთ-ს პროექტის შემთხვევაში. დსთ-ს დასაშლელად, ამ პროექტის კოლაფსისთვის ყველაზე „სერიოზული სამუშაო“ 90-იან წლებში სწორედ რუსეთმა გასწია.

საქართველოს უამრავი საშინაო საქმე აქვს გასაკეთებელი და, ჩვენ უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა მივხედოთ. საქართველოს სტრატეგიული არჩევანი გაკეთებული აქვს და ის, ჩვენი საგარეო პოლიტიკის ღერძად უნდა დარჩეს და ამგვარი „კეთილმეზობლური“ შემოთავაზებისგან თავდაცვის მექანიზმებზე იფიქროს. იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რაც ჩვენ უკანასკნელი 20 წელიწადში სამწუხაროდ დავაგროვეთ, ეს განსაკუთრებულ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.

***– ხშირად გაიგონებთ მტკიცებას, რომ საქართველომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგების ფარგლებში კრემლთან თანხვედრი ინტერესების მოძებნა უნდა შეძლოს. ამ მტკიცების საწინააღმდეგო ჭკუათმყოფელ ადამიანს არ შეიძლება რამე ჰქონდეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კრემლი საერთაშორისო ასპარეზზე თუ ვინმესთან თანამშრომლობს, მხოლოდ თავის პირობებზე. ფაქტია, რომ ეს კრემლს მეტ-ნაკლები წარმატებით გარკვეულწილად გამოსდის კიდეც. აქედან გამომდინარე, არსებულ სიტუაციაში რამდენად შესაძლებელია, რომ საქართველომ რუსეთთან შეძლოს თანამშრომლობისთვის თანხვედრის წერტილების პოვნა?***

– სტრატეგიული თვალსაზრისით თქვენს შეფასებას მთლიანად ვიზიარებ. რუსეთი მართლაც ასე იქცევა, მაგრამ საერთო ინტერესების გათვალისწინებით, ცალკეულ საკითხებში კონსენსუსის მოძებნა შესაძლებელია. მაგალითად, ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა. ბოლოს და ბოლოს, ისეთ საკითხშიც კი მოიძებნა კომპრომისი, როგორიც რუსეთის ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება გახლდათ. სხვათა შორის, რუსეთი თავად არ არის ერთგვაროვანი. არსებობს რეგიონული ინტერესები, ინტერესთა ჯგუფები, რომელთაც ზოგჯერ, ცენტრისგან განსხვავებული ხედვები აქვთ. ეს ყველაფერი ქმნის მოლაპარაკებების შესაძლებლობის გარკვეულ ველს. ეს შესაძლებლობები შეზღუდულია, მაგრამ რეალურად არსებობს. იმ მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელშიც ჩვენ ვართ რუსეთთან ურთიერთობაში, ამ მცირე, მაგრამ მაინც რესურსის ხელიდან გაშვება, რა თქმა უნდა, არ ღირს. მაგრამ, ამასათან ერთად, უდავოა, რომ ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, ანუ ქვეყნის სტრატეგიული საგარეო ვექტორი სრულად უნდა იყოს დაცული.

**ინტერპრესნიუსი**

# ხელისუფლების ჩანაცვლება-გადაბარგება მიმდინარეობს

ქეთი ხომერიკი


გიორგი გუგავა

რა მიზანს ემსახურებოდა ნათელაშვილის თეთრ სახლთან გამართული აქცია, იგეგმება თუ არა ვარდების რევოლუცია -2, რას მოუწოდებენ საზოგადოებას, როგორი იქნება ლეიბორისტების დაუმორჩილებლობის ზამთარი, არის თუ არა ივანიშვილი ბოკერია-უგულავასთან ჩახუტებული და სად ხვდებიან ბოკერია-ალასანია ერთმანეთს? ამ საკითხებზე ,,ახალი თაობას“ ,,ლეიბორისტული“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა ესაუბრა.

**გიორგი გუგავა:**

– პირველად საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში აშშ-ს მთავარ პოლიტიკურ ცენტრში თეთრ სახლთან გაიმართა აქცია, რომელიც ლეიბორისტული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ორგანიზებული იყო. ეს აქცია დაუმორჩილებლობის ფარგლებში მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული, სადაც განცხადებული იყო, რომ „ვარდების რევოლუცია“ დაჭკნა საქართველოში, სააკაშვილი გადაიქცა დიქტატორად, საქართველო გადაქცეულია მონურ კოლონია ქვეყნად. აქედან გამომდინარე, მოგვეცით უფლება იმისა, რომ თავად განვსაზღვროთ მოქალაქეებმა დამოუკიდებლად ამ ქვეყნის ბედი, ის თუ ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში და ნუ გვახვევენ თავს, აი, ასეთი ტიპის დიქტატორებს, ისეთ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც თავის ბუნებით არიან მონური სულისკვეთების და მარიონეტები, ხოლო შიგნით, შიდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს კი იქცევიან, როგორც დიქტატორები, აგრესორები, რომლებმაც მრავალი უბედურება დაატეხეს თავს ჩვენს ქვეყანას. აი, ამასთან დაკავშირებით გაიმართა ეს აქცია ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ.

***– თვლით, რომ აშშ ახლაც უჭერს სააკაშვილის ხელისუფლებას მხარს? ამ აქციით რას ელით, ფიქრობთ, რაიმე შედეგი მოჰყვება?***

– ფაქტია, რომ დღემდე სწორედ აშშ-ს გარკვეული წრეების მხარდაჭერით ხდება, რომ ეს რეჟიმი შენარჩუნებულია საქართველოში. თავის დროზე ე.წ. ავადსახსენებელი ვარდების გადატრიალება მოხდა სწორედ ამ გარე ძალების ორგანიზებით. სოროსი იყო დამფინანსებელი, შიგნიდან კი ბიძინა ივანიშვილი, რამაც ქვეყნის სათავეში მოიყვანა ანტიეროვნული მარიონეტული ძალა, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს დაშლა და მოსახლეობის სოციალური გენოციდი. ნახეთ, როდესაც დისკრედიტაცია განიცადა „ვარდების რევოლუციის“ პროექტმა და დაინახეს, რომ შეიძლება გავლენის სფერო დაკარგონ საქართველოში, რომელიც დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში ამ იმპერიის მხრიდან გამოყენებულია, არის, როგორც დასახურდავებელი მონეტა, ამიტომ გადაწყვიტეს ახალი პროექტის შემოგდება „ვარდების რევოლუცია“ 2-ის სახით. მისი განხორციელება და დაფინანსება დაევალა სოროსი 2-ს (თუ პირველს, რა ვიცი თავად განაცხადა, სოროსი ეგონა ხალხს და სინამდვილეში მე ვაფინანსებდი ამ პროექტებსო) ივანიშვილის სახით. და ნახეთ შემსრულებლები ვინ არიან, ნარიყალაზე ვინ არის თავმოყრილი. ყველა ის პროამერიკული, ანტიეროვნული ძალა, რომელიც სათავეში ედგა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ვარდების გადატრიალებაში.

***– გვიმტკიცებთ, რომ ხელისუფლების ჩანაცვლება-გადაბარებასთან გვაქვს საქმე?***

– დიახ, ამათთვის მთავარია, შენარჩუნდეს სისტემა, შენარჩუნებულ იქნას ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც იმართებიან აშშ-დან. თავის დროზე ხომ გახსოვთ, რა უდიდესი დამსახურება ჰქონდა შევარდნაძეს ამერიკელების მიმართ, პრაქტიკულად, მის ხელის ბიჭს წარმოადგენდა ის ხომ, და როდესაც უთხრეს მას, რომ დროა ხელისუფლება გადააბარო სააკაშვილსო, გადააბარა კიდეც. და განწყობა ხომ გახსოვთ, საზოგადოების როგორი იყო – შევარდნაძე წავიდეს ოღონდ და ვინც გინდა ის მოვიდეს. მივიღეთ თუ არა ახალგაზრდა შევარდნაძე და უფრო უარესიც? ამიტომ, რადგან დისკრედიტაცია მოხდა მთლიანად ამ რეჟიმისა, ახლა ახალი სპექტაკლია საჭირო, ახალი თვალის ახვევაა მოსახლეობისთვის საჭირო, რომ ის განწყობები მოაქციონ ერთ კალათაში. სააკაშვილს, პრაქტიკულად, ამოწურული აქვს ყველა ვადა პოლიტიკური და სამართლებრივიც, მას უახლოეს ხანებში აუცილებლად მოუწევს ხელისუფლებასთან დამშვიდობება, მაგრამ როგორც შევარდნაძეს, მასაც ხელშეუხებლობის გარანტიებს მიცემენ ეს ძალები და შეირგებს იმ მილიარდებს, რომელიც აქედან აქვს აფცქვნილი. ასევე გარანტიები ექნება ხელისუფლების ყველა იმ წარმომადგენელს, ვინც თავი გამოიჩინა ანტიეროვნულობით და აგრესიულობით ამ წლების განმავლობაში. უფრო მეტიც, განსაზღვრული არის ულტრარადიკალური, ექსტრემისტული ჯგუფის მოსვლა ხელისუფლებაში, როგორიც არის ბოკერია– უგულავას დაჯგუფება. რეალურად ისინი დგანან სათავეში, ანუ ნეოკონსერვატორები რომ არიან ამერიკაში, იმათი ფრთა. იგივე დანარჩენი პოლიტიკური ძალებიც, რომლებიც არიან პროამერიკულები და რომლებიც მთლიანად ემორჩილებიან იქედან წამოსულ დირექტივებს, როდესაც მოქმედებენ და გადაწყვეტილებებს იღებენ შიდა პოლიტიკურ არენაზე. აი, ეს გათვლაა მთლიანად გაკეთებული. ამასაც ემსახურებოდა ეს აქცია, რომ მოგვეცით თავისუფლება, თავისუფალი არჩევანის უფლება მოგვეცით. თუ ჩვენ მოგვეცემა თავისუფალი არჩევანის უფლება, დამერწმუნეთ, აშშ-სთანაც ვიმეგობრებთ და სხვა ქვეყნებთანაც, აქ ინტერესთა დაბალანსება მოხდება, ოღონდ არა ჩვენი ეროვნული ინტერესების გაყიდვის სანაცვლოდ.

***– ამ გეგმის მიხედვით ბოკერია-უგულავას გუნდი დარჩება ხელისუფლებაში, უბრალოდ, სააკაშვილი წავა? ისე, ალასანია– ბოკერიას ფლირტიც გვახსოვს....***

– ეს დღემდე გრძელდება, ეს შეხვედრები უცხოეთში, მათ შორის, სტოკჰოლმში და ქვეყნის შიგნითაც ყოველდღიურად იმართება. გაიხსენეთ, ვარდების რევოლუცია, მათი ღირებულებითი განსხვავება რა არის? რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან თავიანთი პოლიტიკით, იქნებ ამიხსნას ვინმემ? არანაირი განსხვავება მათ შორის არ არის. ესენიც გაიძახიან ნატო, ნატო, ნატო, ისინიც – ნატო, ნატო, ნატო. ისინიც მზად არიან ქვეყანა იმ გზით ატარონ, რომელმაც დაშალა და გაანადგურა. ამიტომ კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ დაგეგმილია ამ პროექტის განხორციელება ვითომდა დიდი, ასე ვთქვათ, მოსახლეობის მხარდაჭერით მოიყვანენ იგივე ძალებს და იგივე სისტემა იქნება შენარჩუნებული. საქართველოში სანამ არ მოვა ეროვნული ხელისუფლება, არაფერი გვეშველება. ვიმეორებ, იგივე სისტემის შენარჩუნებაა გადაწყვეტილი.

***– ანუ, მოუწოდებთ საზოგადოებას, რომ მხარი არ დაუჭირონ ივანიშვილსა და მის გუნდს?***

– მოვუწოდებთ საზოგადოებას, გადაწყვეტილება მიიღონ განვლილი გზის შესაბამისად. გადაწყვეტილება მიიღონ და მხარი დაუჭირონ იმ ძალებს, რომლებიც ეროვნული საწყისებიდან მოდიან და რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის მომავალი, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. რა, დღეს გადაიქცა სააკაშვილი მონსტრად? ის ხომ წლების მანძილზე ყალიბდებოდა ასეთად. დიახ, წლების მანძილზე, როდესაც ხდებოდა მისთვის ფინანსური მხარდაჭერა იგივე ივანიშვილის მხრიდან და მის ოჯახის წევრებზეც ხომ. აგერ, რულოვსისთვის 4 მილიონი მიუცია, დედამისისთვის 2 მილიონი მიუცია, იქ სპეცრაზმელები დაუფინანსებია, პრემიები მიუცია და ა.შ და ა.შ. ეს თანდათან გამოქვეყნდება. ბუნებრივია, ამაზე იდგა მათი ძალაუფლება, გესმით!

***– და საუბრები, სააკაშვილი და მისი გუნდი შეშინებული არისო, ბლეფია და მეტი არაფერი? რეალურად ერთი პატრონი ჰყავთ და შეთანხმებულად მოქმედებენ?***

– ვინ ნახეთ შეშინებული და სად არიან შეშინებული? არ გახსოვთ, ხალხის დასანახად რა დაპირისპირება იყო შევარდნაძესა და სააკაშვილს შორის? თითქოს ქვებითაც კი უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს და მერე აღმოჩნდა, რომ ვიყავით მსხვერპლი იმ დადგმული სპექტაკლისა, რომელიც გაათამაშეს საქართველოში. მერე პირდაპირ თქვა კიდეც შევარდნაძემ, ლანგრით მივართვი ხელისუფლება სააკაშვილსო. სწორედ ამის გამოა, რომ მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგა. კაცს, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა ქვეყანას, სინანულის გრძნობა არ გასჩენია და დღეს კიდევ ჭკუას გვარიგებს კრწანისიდან.

***– საზოგადოების უდიდესი ნაწილი ივანიშვილს უჭერს მხარს... და რატომ უნდა დაგიჯეროთ ხალხმა თქვენ, ბატონო გიორგი?***

– კარგად მახსოვს ასეთი ეიფორია 2003 წელს, როდესაც იმ სიმართლის გამო, რომელსაც ჩვენ ვეუბნებოდით საზოგადოებას და ვაფრთხილებდით მოსალოდნელი საშიშროების გამო, სამწუხაროდ, ლაფი, ტალახი, ფურთხი, გინება და წყევლა წამოვიდა საზოგადოების მხრიდან ჩვენი მისამართით. მახსოვს ზოგიერთების განცხადებები, დაანებეთ თავი ამ ბიჭს, ეს არის მესია, სხვათა შორის, ამას მხოლოდ რიგითი ადამიანები არ აცხადებდნენ, იგივე ძალები პოეტები, ე.წ. ექსპერტები და სხვები. მახსოვს, უამრავი ასეთი განცხადება.

# ახმეტელის თეატრში საიუბილეო კვირეული იწყება

ეკა ირემაშვილი

28 ნოემბერიდან სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრში საიუბილეო კვირეული იწყება. წელს თეატრი დაარსებიდან 30 წლის იუბილეს ზეიმობს. ამ მნიშვნელოვან თარიღს ახმეტელის თეატრს თბილისის სხვა თეატრებიც მიულოცავენ. რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, კინომსახიობთა თეატრი და მუსიკისა და დრამის თეატრი იუბილარი თეატრის სცენაზე თავიანთ სპექტაკლებს წარმოადგენენ.




საიუბილეო დღეების პირველ დღეს აივენგო ჭელიძის პერსონალური ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა. თეატრის დღესასწაულზე შეკრებილი საზოგადოება ახმეტელის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებლის ლერი პაქსაშვილის მემორიალურ დაფას გახსნის, ხოლო ამის შემდეგ უკვე სანდრო ახმეტელის სახელობის სკვერის საზეიმო გახსნის ცერემონიალი შედგება. საიუბილეო კვირეულის პირველი დღე დიმიტრი ხვთისიაშვილის სპექტაკლით „ღია შუშაბანდი“ დასრულდება, რომელიც რეჟისორმა შადიმან შამანაძის ნაწარმოების მიხედვით დადგა.

29 ნოემბერს ახმეტელის თეატრის სცენა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრს დაეთმობა, სადაც გათამაშდება ედნა მაზიას მიხედვით დადგმული ერთმოქმედებიანი სპექტაკლი „აკრძალული თამაშები“ (რეჟისორი მანანა ბერიკაშვილი). მუსიკისა და დრამის თეატრს უკვე კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი შეცვლის. 30 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება ილია ჭავჭავაძის მიხედვით დადგმული ორმოქმედებიანი სპექტაკლი „მგზავრის წერილები“. პირველი მოქმედება „დამაკვირდი“ (ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი), მეორე მოქმედება „მგზავრის წერილები“ (დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე). სპექტაკლში მონაწილეობენ თენგიზ არჩვაძე, გივი ბერიკაშვილი, დათო დვალიშვილი, გია ბურჯანაძე, როლანდ ოქროპირიძე, ზვიად სხირტლაძე. წარმოდგენაში გომარ სიხარულიძის მუსიკა ჟღერს.

ახმეტელის თეატრის საიუბილეო კვირეულში შეტანილია რეჟისორ სოსო ნემსაძის სპექტაკლი „მოთმინება და იმედი“, რომელიც დავით კლდიაშვილის „უბედურების“ მიხედვით არის დადგმული. იუბილარ თეატრს რუსთაველის თეატრიც ესტუმრება. 2 დეკემბერს რონალდ ჰარვუდის ორმოქმედებიანი სევდიანი კომედია „მოხუცი ჯამბაზები“ იქნება წარმოდგენილი. სპექტაკლის რეჟისორია გოჩა კაპანაძე, რომელშიც მონაწილეობენ გურამ საღარაძე, კახი კავსაძე, ჯემალ ღაღანიძე, ზაზა ლებანიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი.

თეატრის საიუბილეო დღეების ფარგლებში ოთარ ბალათურიას სპექტაკლი „ჭურში“ არის ჩართული. იუბილარი თეატრის რეპერტუარიდან მისმა ხელმძღვანელობამ შეარჩია მალხაზ ასლამაზიშვილის წარმოდგენა „გივი ტაქსისტის სიყვარულის ისტორია“, რომლის პიესის ავტორიც რეი კუნია.

6 დეკემბერს ახმეტელის თეატრის სცენა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრს დაეთმობა. რეჟისორი ნუგზარ ბაგრატიონ გრუზინსკი თეატრში მისულ საზოგადოებას შესთავაზებს სპექტაკლს „გაზაფხული მაინც მოვა“, რომელიც მამის, პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ხსოვნას მიუძღვნა.

ახმეტელის თეატრის 30 წლის იუბილეს განსაკუთრებული სტუმარი მაკედონიის თეატრია. 7 დეკემბერს დასი პიერ ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებას“ გაითამაშებს, რომლის რეჟისორიც ლევან წულაძეა. მომდევნო დღეს კი ახმეტელის თეატრი მაყურებელს პრემიერას შესთავაზებს. „ვაჟა“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელშიც გამოყენებულია ვაჟა-ფშაველას „ამოდის, ნათდება!“, „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“. სპექტაკლის საპრემიერო ჩვენებები 10 დეკემბრამდე გაგრძელდება.

ახმეტელის თეატრის საიუბილეო დასკვნითი საღამო კი 11 დეკემბერს გაიმართება, რომლის დამდგმელი რეჟისორიც დიმიტრი ხვთისიაშვილია. საიუბილეო ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია.

**თამაზ გოლაძე, ახმეტელის თეატრის მმართველი:**

– 28-ში ვიწყებთ ახმეტელის თეატრის დაარსებიდან 30 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებს. პირველ რიგში ლერი პაქსაშვილის მოკრძალებულ მემორიალურ დაფას გავხსნით, რასაც მოყვება ბატონი აივენგო ჭელიძის გამოფენა და საღამოს სპექტაკლი „ღია შუშაბანდი“. ჩვენი თეატრის წინ გაიხსნება სანდრო ახმეტელის სახელობის სკვერი. გვინდოდა საიუბილეო დღეები პრემიერით გაგვეხსნა, მაგრამ ვერ მოვასწარით და მისი პრემიერა ცოტა მოგვიანებითაა. მიხარია, რომ თბილისის სხვა თეატრებმა გამოთქვეს ჩვენთვის იუბილეს მოლოცვის სურვილი. მადლობა კინომსახიობთა თეატრის, მუსკომედიის თეატრის, მარჯანიშვილის თეატრისა და რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობას. დასკვნითი საიუბილეო საღამო იქნება 11 დეკემბერს, რომელსაც დიმა ხვთისიაშვილი აკეთებს.

***– ამ 4 თეატრის გარდა, თბილისის სხვა თეატრებმა არ გამოთქვეს მოლოცვის სურვილი?***

– მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჩვენს თეატრში სხვა თეატრების დეკორაცია ვერ შემოდის.

***– საიუბილეო ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთი ძვირი ღირს?***

– არა. ბილეთები უკვე იყიდება და ყველას ვეპატიჟებით, რომ მერე გული არ დაწყდეთ. განსაკუთრებით გლდანის მოსახლეობას, რომლისთვისაც ასეთ სიურპრიზს ვამზადებთ.

***– რატომ აღნიშნავთ იუბილეს ასე მოკრძალებულად?***

– მგონია, რომ ეს არ არის მოკრძალებული იუბილე, პირიქით, საკმაოდ გრანდიოზულია. მერე უკვე იწყება საახალწლო მზადებები და ყველა თეატრს თავისი საქმე აქვს. თუმცა მგონია, რომ წლის ბოლომდე ჩვენს

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ქეთა თოფურია ლედი გაგას დაემსგავსა

ეკა ირემაშვილი

ჯგუფ „ა სტუდიოს“ სოლისტი ქეთა თოფურია მსოფლიოში ყველაზე ექსცენტრიკულ და უცნაურ მომღერალს ლედი გაგას დაემსგავსა. ასეთი რადიკალური ცვლილება მომღერალს მაქსიმ გალკინის პაროდიული გადაცემისთვის დასჭირდა, სადაც წინასაახალწლო გადაცემა ჩაიწერა.

ქეთა თოფურია ლედი გაგა იქნება, ხოლო ჯგუფის მუსიკოსები – მომღერლის მოცეკვავეები. მუსიკოსებისთვის ლედი გაგას საბალეტო დასის წარმომადგენლებად წარდგენა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მათ თავისი საცეკვაო შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენეს.

– ჩემთვის მსგავსი ექსპერიმენტები ძალიან სახალისო და ამავე დროს ძალიან საინტერესოა. გალკინის გადაცემის მთავარი ამოცანაა, საზოგადოებას წინასაახალწლო ამაღლებული განწყობა შეუქმნას. ჩვენი ნახვა მაყურებელს 27 ნოემბერს შეეძლება, – განაცხადა ქეთა თოფურიამ გადაცემის ჩაწერის შემდეგ.


ქეთა თოფურია

ქეთა თოფურიას ლედი გაგასთან შეხება პირველი არ არის. ჯერ კიდევ ზაფხულში ქართველმა მომღერალმა ყველაზე ექსცენტრიკული მომღერლის სტილისტს კოსტიუმები შეუკვეთა. ლედი გაგას სტილისტი მისივე და ნატალი ჯერმანოტაა. სწორედ მასთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს ქართველი მომღერალი. თავიდან ნატალი ჯერმანოტა უარს ამბობდა სხვა ვარსკვლავებთან მუშაობაზე, მაგრამ ლედი გაგას ნებართვის შემდეგ მას სრული შემოქმედებითი თავისუფლება აქვს.

– ჩაცმულობის მხრივ, საკმაოდ არაორდინალური მოთხოვნები მაქვს. მჯერა, რომ ამ მოთხოვნების შესრულება თანამედროვე ეპატაჟის მხოლოდ ერთადერთ ოსტატს შეუძლია და ეს ლედი გაგას დაა. მე მასთან დაკავშირებაში დახმარება ჩემს ამერიკელ მეგობრებს ვთხოვე. ვიცი, რომ ლედი გაგას სკანდალური კოსტუმების უმეტესობა, სწორედ მისი 22 წლის დის მიერ არის შექმნილი, – განაცხადა ქართველმა მომღერალმა.

გადაცემის ჩაწერის შემდეგ მოცეკვავე ჯგუფის წევრებისა და ჯგუფ „ა სტუდიოს“ ლიდერმა ბაიგალი სერკებაევმა განაცხადა:

– ლედი გაგა ისეთივე მხიარულია, როგორც ქეთა. მართალია რეპეტიციებზე სულ გვეცინებოდა, თუმცა შესაძლოა ამ გადაცემაში დადგმული ზოგიერთი ილეთი ჩვენს კონცერტებზეც გამოვიყენოთ.

მაქსიმ გალკინის პროექტში გაერთიანებული არიან პოლიტიკის, სპორტის, კინოს, თეატრისა და ესტრადის ცნობილი წარმომადგენლები. ისინი მაქსიმ გალკინის გადაცემაში მათთვის საყვარელ გმირებად გადაიქცევიან და იმ წარსულ დროის ნოსტალგიას გაუმკლავდებიან, როცა თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობდნენ.

წინასაახალწლო ეიფორიამდე ჯგუფმა „ა სტუდიომ“ თავისი დაბადების დღე ერთ-ერთ კლუბში გრანდიოზული კონცერტით აღნიშნა. ამ დღეს ჯაზის კომპოზიციები აჟღერდა და მასში ცნობილი რუსი ჯაზშემსრულებლები მონაწილეობდნენ.

ჯგუფმა ერთ-ერთი ჰიტის „ფეშენ გოგოს“ რემიქსიც ჩაწერა. ჯგუფთან ერთად ამ კომპოზიციის შემსრულებელი ცნობილი ნიუიორკელი დუეტი მისტრო და პიცი არიან. მათ ნამუშევარი აქვთ ბიონსესთან, ბრიტნი სპირსთან, ჯასთინ ტიმბერლეიკთან და სხვა ცნობილ მომღერლებთან, ამიტომ „ა სტუდიოსთვის“ მათთან თანამშრომლობა დიდი პატივია. უკვე გადაწყვეტილია, რომ ახალი მუსიკალური კომპოზიციის „გაპიარებისთვის“ რემიქსი შესრულდება როგორც ამერიკულ, ასევე ევროპულ კლუბებშიც.

ქეთა რომ მუსიკის ერთგულია და სცენის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, იმითაც დაამტკიცა, რომ „მუსიკალური“ ტატუ გაიკეთა. ქეთას სვირინგი აქამდე ზურგზე ჰქონდა, ამჯერად კი კისერზე ვიოლინოს გასაღები და ნოტები ამოისვირინგა. ერთ-ერთ კონცერტზე ქეთამ თმა სპეციალურად აიწია, რომ თავისი „მუსიკალური“ ტატუ გამოეჩინა.

– მუსიკა მთელი ჩემი ცხოვრებაა, მის გარეშე არ შემიძლია არც სიყვარული, არც მუშაობა. სწორედ ამით აიხსნება ჩემი ტატუ. მინდა, რომ ნოტები ყველგან თან მახლდეს, – განუცხადა ჟურნალისტებს მომღერალმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, მოეწონა თუ არა ეს სიახლე ქეთას ბოიფრენდს, მომღერალმა უპასუხა: „რა თქმა უნდა! ახლა უფრო ხშირად მაკოცებს ამ ადგილზე“.

ტატუს სპეციალისტთან ვიზიტის გარდა, ქეთა თოფურიას პლასტიკურ ქირურგთან ვიზიტიც დასჭირდა. მან რინოპლასტიკა (ცხვირის ოპერაცია) ორჯერ გაიკეთა. პირველი ოპერაციის აუცილებლობა მომღერალმა იმით ახსნა, რომ ცხვირის ძგიდე ჰქონდა გამრუდებული და სუნთქვა უჭირდა. რადგან ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა, ბარემ კეხიც მოიშორა. რაც შეეხება მეორე ოპერაციას, მომღერლის თქმით, ესეც აუცილებლობით იყო განპირობებული.

– რინოპლასტიკის მეორედ გაკეთება სამედიცინო აუცილებლობა გახდა. პირველი ოპერაციიდან რამდენიმე თვეში ჩემმა ცხვირის წვერმა დაბლა დაშვება დაიწყო. მაშინ გადავწყვიტე მეორე ოპერაციის გაკეთება. ამ პროცედურებში განსაკუთრებული არაფერია. მეორე ოპერაციაზე ცრემლისღვრით მივდიოდი, რადგან ტამპონების გამოღების პროცესი ძალიან მტკივნეულია, – გამოუტყდა ქართველი მომღერალი რუს ჟურნალისტებს.

# „ჩვენებურები“ იუბილარია

ეკა ირემაშვილი

ფოლკლორული ანსამბლი „ჩვენებურები“ იუბილარია. 10 წლის იუბილესთან დაკავშირებული საზეიმო კონცერტი რუსთავის თეატრში 26 ნოემბერს გაიმართება. კონცერტზე შესრულდება როგორც ახალი, ასევე ძველი და კარგად ნაცნობი კომპოზიციები – ტრადიციული და თანამედროვე მუსიკა აჟღერდება. საღამოზე გაერთიანდებიან ძველი და ახალი თაობის მუსიკოსებიც. სიმბოლურია, რომ ასეთი შემადგენლობით ანსამბლი მსმენელის წინაშე ჯერ არ წარმდგარა და ეს სწორედ მათ იუბილეზე მოხდება.

„ჩვენებურების“ საიუბილეო საღამოზე ანსამბლ „ერისიონის“ წამყვანი სოლისტი ნუგზარ კურცხალიაც ჩაერთვება. რა თქმა უნდა, საიუბილეო საღამო არ ჩაივლის ზუმბას – ზაზა კორინთელის გარეშე. თუმცა, ანსამბლის წევრთა გადაწყვეტილებით, მათ საიუბილეო საღამოზე ნაკლებად იქნება დუეტები. მათი სურვილია, საიუბილეო საღამოზე მათ მიერ მოგროვებული და ჩამოტანილი მუსიკები შესრულდეს. იქნება ბევრი სიახლე, თუმცა შესრულდება ჩვენი ძველი, ტრადიციული სიმღერებიც.

ფოლკლორული ანსამბლი „ჩვენებურები“ 2001 წელს შეიქმნა. სამი წლის განმავლობაში ანსამბლს ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონის“ სოლისტი ნუგზარ კურცხალია. 2004 წლიდან კი „ჩვენებურებმა“ დამოუკიდებელი მოღვაწეობა განაგრძო. ეს ანსამბლი იყო საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურების“ ერთ-ერთი მასპინძელი და აქტიური მონაწილე. ფესტივალზე ანსამბლი მაყურებლის წინაშე წარდგა საკუთარი რეპერტუარით, ასევე შეასრულა რამდენიმე სიმღერა ცნობილ მომღერალ ბაიარ შაჰინ გუნდარიძესთან ერთად.

იუბილარი ანსამბლი „ჩვენებურები“ აქტიურად მონაწილეობს ფოლკლორულ ფესტივალ „არტ გენის“ ორგანიზებაშიც. სწორედ ეს ანსამბლი ცნობილ ქართველ მუსიკოს ზაზა კორინთელთან (ზუმბა) ერთად მისივე სიმღერით „გამარჯობა აფხაზეთო შენი“ გახდა ეროვნული კონკურსის „პატრინოტის“ გამარჯვებული. ანსამბლი „ჩვენებურები“ იყო ერთადერთი ფოლკლორული ანსამბლი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ზემო აფხაზეთში ჩატარებულ ფოლკლორისა და თეატრის ფესტივალში „ზღვა, რომელიც შორია“, სადაც ანსამბლმა ფესტივალის ფარგლებში ზაზა კორინთელთან ერთად კოდორის ხეობის მოსახლეობისთვის სოლოკონცერტი გამართა. განმუხურის ცნობილი ინციდენტიდან მეორე დღეს კი „ჩვენებურებმა“ ზაზა კორინთელთან ერთად განმუხურის პატრიოტთა ბანაკში კონცერტი ჩაატარა ბანაკის ახალგაზრდობისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ანსამბლმა კონცერტი გამართა პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში ადგილობრივი ქისტების ანსამბლ „პანკისთან“ და საქართველოში მცხოვრები ფრანგების ანსამბლთან ერთად. ორი წლის წინ კი ანსამბლმა „ჩვენებურები“ და ეთნო ჯაზ ბენდმა „ზუმბალენდი“ შექმნეს ახალი მუსიკალური პროექტი „ასტროჯორჯია“, ჩაწერეს ამავე სახელწოდების აუდიოალბომი, რომლის პრეზენტაციაც პირველად 2010 წლის მაისში ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში შედგა. ამჟამად ანსამბლი თავისი 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად ემზადება და ტრადიციული თუ თანამედროვე ქართული მუსიკის მოყვარულ საზოგადოებას რუსთავის თეატრში ეპატიჟება.

# ნინო ქათამაძე ბრწყინვალების ორდენოსანია

ეკა ირემაშვილი

ქართველი მომღერალი ნინო ქათამაძე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გიორგობის დღესასწაულზე ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა. მომღერალთან ერთად ამ ჯილდოს მფლობელები გახდნენ გელა ჩარკვიანი (დიპლომატი), ვახტანგ კანკავა (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი), თორნიკე გორდაძე (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე), სერგი კაპანაძე (საგარეო საქმეთა მინისტრი), სალომე სამადაშვილი (ბელგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენელი), თამარ კოვზირიძე (პრემიერ-მინისტრის მრჩეველი), ბაკურ კვეზერელი („საპარტნიორო ფონდის“ მთავარი საინვესტიციო ოფიცერი), რაფაელ გლუქსმანი (პრეზიდენტის მრჩეველი).


ნინო ქათამაძე

მიხეილ სააკაშვილმა ქართველი დიპლომატები, მეცნიერები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში შეტანილი წვლილისათვის, ნაყოფიერი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის დააჯილდოვა. პრეზიდენტმა განსაკუთრებით გამოყო ქართველი დიპლომატების წვლილი ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებში და მიღწეულ წარმატებას ქართული დიპლომატიის გამარჯვება უწოდა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ახალგაზრდა ქართველი დიპლომატები აქტიურად იყვნენ ჩართული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკების პროცესში და სწორედ მათი დამსახურებაა ის, რომ მეორე მხარემ საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

მიხეილ სააკაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გელა ჩარკვიანის დიპლომატიურ საქმიანობასა და საზოგადო მოღვაწეობის პერიოდს დაუთმო. თავის მხრივ, გელა ჩარკვიანმა პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა ქვეყანაში იმ ევროპული ღირებულებების დამკვიდრებისთვის, რომელიც ბოლო წლებში საქართველოს განვითარების კურსს ასახავს. ქვეყნის პირველმა პირმა მეცნიერულ და ტექნოლოგიურ დარგში, სოფლის მეურნეობისა და კულტურის სფეროში მიღწეულ წარმატებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოში გრძელდება როგორც მეცნიერული და ტექნიკური პროგრესი, ისე კულტურული განვითარება.

მომღერალი ნინო ქათამაძე ამ მნიშვნელოვანი ჯილდოს მიღების შემდეგ მისთვის ყველაზე მთავარი მოვლენისთვის ემზადება. 26 ნოემბერს მოსკოვში „კროკურს სითი ჰოლში“ მომღერლის რიგით მეხუთე ალბომის პრეზენტაცია გაიმართება. ალბომების „თეთრი“, „შავი“, „ლურჯი“ და „წითელი“ შემდეგ ნინო ქათამაძე თავის ერთგულ მსმენელს უკვე ალბომს „მწვანე“ წარუდგენს, რომელშიც 10-მდე კომპოზიციაა შესული. ნინო ქათამაძისთვის ეს უკვე ტრადიციაა – მისი და ჯგუფ „ინსაითის“ ყოველი ახალი ალბომის პრეზენტაცია სწორედ მოსკოვში და სწორედ „კროკუს სითი ჰოლში“ იმართება. მოსკოვური პრემიერის შემდეგ ნინო ქათამაძეს კონცერტები დუბნასა და ნოვოსიბირსკში აქვს დაგეგმილი. როდის გაიმართება, ან საერთოდ გაიმართება თუ არა ნინო ქათამაძის ახალი ალბომის პრეზენტაცია საქართველოში, ჯერჯერობით უცნობია.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში, თელეთის ახალ ბაზართან 5 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.
- ბორჯომის ახალდაბაში 700კვ.მ. ნაკვეთი. სახლის პროექტით. არის პატარა შენობაც. ნაძვნარში, იქვე მტკვარი, წყარო. ფასი 7500 დოლარი. განვადებით შეიძლება. ტელ.: 790-56-48-75.

### განცხადებები

- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. ფასი 200-500 ლარამდე. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# სუპერლიგა ინფორმაციულობაზე და მსაჯებზე ფიქრობს



გუშინ კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და „საინფორმაციო ცენტრ 08“-ს შორის გაფორმდა მემორანდუმი.

პრესკონფერენციას კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და სუპერლიგის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი, სუპერლიგის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ზაბახიძე და საინფორმაციო ცენტრის, 08-ის დირექტორი გიორგი ქოჩლაძე ესწრებოდნენ. ამიერიდან, 08-ში დარეკვის დროს ყოველი აბონენტი მოისმენს სუპერლიგის მატჩების შესახებ ამა თუ იმ ინფორმაციას და ამასთან ინფორმირებული იქნება კალათბურთის ფედერაციისა და სუპერლიგის ყველა სიახლის შესახებ, ხოლო კალათბურთის ეროვნული ნაკრების თამაშებზე დასწრების მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ „08“-ზე წინასაწარ დაჯავშნონ ბილეთები.

გარდა ამისა, სუპერლიგის ხელმძღვანელობამ ისაუბრა უცხოელი მსაჯების თემაზე.

**ბესიკ ლიპარტელიანი:**

– მოგეხსენებათ, რომ სუპერლიგის დღის წესრიგში დადგა უცხოელი მსაჯების მოწვევის საკითხი. ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას უკრაინის, ლიტვისა და თურქეთის ფედერაციებთან, თუმცა იმის გამო, რომ რეგლამენტით საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ეკრძალება სხვა ქვეყნის ჩემპიონატში მსაჯობა ფიბასთან შეთანხმების გარეშე, მოლაპარაკებას თან ახლავს კონკრეტული პროცედურების გავლა, რასაც გარკვეული დრო ესაჭიროება.

# ალექს დელ პიერო: „სათადარიგო სკამები ცივია... მინდორზე სჯობს“

„იუვენტუსის“ თავდამსხმელი და სიმბოლო ალესანდრო დელ პიერო, რომელსაც სეზონის ბოლოს კონტრაქტს არ გაუგრძელებენ, შესაძლოა „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ გადავიდეს.

ამერიკულ კლუბი, რომელიც ახლახან ქვეყნის ჩემპიონი გახდა, დევიდ ბექჰემის წასვლის შემდეგ ახალ ვარსკვლავებს ეძებს. თავად დელ პიერომ არ გამორიცხა, რომ კარიერას მლს-ში გააგრძელებს, მაგრამ მრავალი წლის განმავლობაში „ბებერი ქალბატონის“ ლიდერს, ევროპაში დარჩენა ურჩევნია.

დელ პიერო მთელი თავისი კარიერა ტურინულ კლუბში თამაშობდა და და დიდი ხანია კაპიტნობს კიდეც. პინტურიკიო ადგილობრივი გულშემატკივრების კერპია და მედიასთან სიამოვნებით საუბრობს. ერთ-ერთმა ესპანურმა გაზეთმა „ელ პაისმა“ დელ პიეროს ბავშვობის ფოტო აღმოაჩინა, რომელზეც ალესანდრო ბურთთან ერთად არის ჩახუტებული და ცხადია საუბარიც ამ ფოტოთი დაიწყო.

***– გახსოვთ და იცით, სად არის გადაღებული ეს სურათი?***

– მშვენივრად მახსოვს – ჩემი სახლის უკანაა. ერთი წლისაც არ ვარ და უკვე ვიცი, რა უნდა გავაკეთო მომავალში... ძალიან მიყვარს ეს ფოტო.

***– ეს ბურთი ახლაც ხომ არ გაქვთ შენახული?***

– ბურთი არა, მაგრამ დღემდე ვინახავ პოსტერებს, რომლებიც ოთახში მქონდა გაკრული.

***– ვისი პოსტერები?***

– „იუვენტუსის“, მიშელ პლატინის... ასევე, მომღერლების – მაიკლ ჯექსონი, ჯგუფები „ჯენესისი“, „იუ 2“, „დაირ სტრაიტსი“... ეს ოთახი მე და ჩემს ძმას გვქონდა დაკავებული. შენახული მაქვს ველოსიპედიც, რომელიც უკვე 50 წლისაა. ახლა ეს ველოსიპედი დედაჩემის სახლთან დგას. ძალიან მიყვარდა.

***– ასაკთან ერთად იცვლებოდით ხასიათის მხრივ?***

– უფრო თავდაჯერებული გავხდი და იმდენად აღარც ვმორცხვობდი, თუმცა მაინც ვენეტოს ჭეშმარიტი შვილი ვარ – თავშეკავებული, მშვიდი და პრაქტიკული.

***– ფეხბურთელთა „სტიკერებს“ არ აგროვებდით?***

– არა, ეს ძვირი ღირდა და ოჯახს არ ჰქონდა ამდენი ფული. თუმცა, ერთხელ დედას ვთხოვე, რომ ეყიდა და ველოსიპედზე მივაკარი.

***– მამა ელექტრიკოსი იყო, დედა კი დალაგებელი. ფეხბურთი რომ არა, რა უნდა გეკეთებინათ?***

– ვერაფერს გეტყვით. მახსოვს, სკოლაში დაგვავალეს, სასურველი პროფესია დაწერეთო და სამი რამ ავირჩიე – ელექტრიკოსი, მოგზაური და მზარეული. ისე კი, ფეხბურთელობა ყოველთვის მინდოდა, მაგრამ ეს მაშინ ოცნებას ჰგავდა და ვერ დავწერე.

***– რა გაძლევთ ყველაზე დიდ ემოციას?***

– ჩემს შვილებთან ყოფნა. სამი შვილი მყავს და როცა ვუყურებ, როგორ იზრდებიან, მიხარია. კიდევ, სხვადასხვა სპორტული ამბები მხდის ემოციურს. ასევე, ზოგიერთი ფილმიც.

***– ბოლოდროინდელი სპორტული მოვლენებიდან რომელმა მოგანიჭათ ემოცია?***

– მსოფლიო თასმა რაგბიში. ყველა მატჩი ვნახე ფინალის გარდა – ვარჯიშს დაემთხვა.

***– ბავშვობაში რა დროს უთმობდით ქუჩას?***

– თავისუფალ დროს სულ იქ ვიყავი. გაკვეთილებს სწრაფად ვსწავლობდი და შემდეგ დაღამებამდე ქუჩაში ვიყავი. იტალიის ჩრდილოეთში ხანგრძლივი ზამთარია და ხუთის ნახევარზე ბნელდება, რის გამო გვიანობით სეირნობას გვიშლიდნენ. სამაგიეროდ, ზაფხულობით მხოლოდ საჭმელად თუ შევდიოდი სახლში, სულ გარეთ ვიყავი...

***– თქვენი პირველი ბუცები რა ფირმისა იყო?***

– „ადიდასი“. დაბადების დღეზე მაჩუქეს და ძალიან მიყვარდა.

***– ბავშვობაში ვისგან გსურდათ ავტოგრაფი?***

– ძალიან მორცხვი ვიყავი და ავტოგრაფს ვერავის ვთხოვდი. არც მიფიქრია ამაზე. რაში უნდა გამომეყენებინა? რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა, რომ ჩემს დასახლებაში ჩამოსულიყვნენ პლატინი, ან „იუ 2“-ს სოლისტი ბონო. სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი იყო.

***– სანდრო მაცოლა ხშირად ამბობს, იტალიაში ფინტები არ უყვართო.***

– კარგი ფინტი ეფექტური სანახაობაა, მაგრამ ფეხბურთელის ოსტატობა მხოლოდ ამაში არ გამოიხატება. მთავარია, ფეხბურთელს სწორი გადაწყვეტილების მიღება შეეძლოს. ყველაზე ძნელი და ყველაზე მთავარი ის არის, რომ ყველა ეპიზოდში გუნდის სასარგებლოდ იმოქმედო.

***– დღესაც აკეთებთ ფეხებში ვარდნას, რათა მეტოქეს ბურთი წაართვათ. არადა, უკვე 37 წლის ხართ და როგორ ინარჩუნებთ ასეთ მონდომებას?***

– როცა ფეხბურთს ვთამაშობ, ასაკი მავიწყდება. არის მომენტები, როცა გრძნობ – უნდა გაიქცე, დაეწიო, ფეხებში უნდა ჩაუვარდე. ეს ემოცია მაქვს, ჩემში მოგების წყურვილია და სანამ ცოცხალი ვარ, ასეც იქნება.

***– რა მოგცათ ფეხბურთმა?***

– ყველაფერი ის, რაზეც ბავშვობაში ვოცნებობდი. ყველა ოცნება ამიხდინა.

***– როგორი სანახავია ფეხბურთი სათადარიგოთა სკამიდან?***

– ცუდი. სკამების უმრავლესობა ცივია... მინდორზე სჯობს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# აპოელმა ისტორია დაწერა — კვიპროსული გუნდი პლეი ოფში

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, გაირკვა კიდევ 3 მერვედფინალისტი. მათგან ყველაზე მოულოდნელი „აპოელის“ შედეგია – კვიპროსული გუნდი ისტორიაში პირველად გავიდა პლეი ოფში. „აპოელის“ გარდა მერვედფინალის საგზური „ლევერკუზენმა“ და „არსენალმაც“ მოიპოვეს.

## ლევერკუზენი-ჩელსი 2:1

**0:1 დროგბა (49), 1:1 დერდიუკი (73), 2:1 ფრიდრიხი (90)**

მატჩში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ვერავინ იტყოდა, რა ბოლო ექნებოდა. პირველი ტაიმის შემდეგ შანსები ორივე გუნდს თანაბარი ჰქონდა. მას შემდეგ, რაც მეორე ტაიმის დასაწყისში დიდიე დროგბამ ბურთი ლევერკუზენელთა კარში გაიტანა, მერვედფინალის საგზურის პინა ლონდონელთა მხარეს გადაიხარა.

ასე გაგრძელდა 73-ე წუთამდე, რის შემდეგ დერდიუკმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხა და ჯგუფში სიტუაცია გაურკვევლად დაძაბა. თუმცა, 90-ე წუთზე მანუელ ფრიდრიხმა კუთხურის შემდეგ ზუსტი თავური დარტყმით ბურთს ადგილი ლონდონელთა კარში მიუჩია და მის გუნდს პლეი ოფში თამაში დაუბევა, ხოლო „ჩელსის“ ურთიერთობის გარკვევა „ვალენსიასთან“ მოუწევს.

## ვალენსია-გენკი 7:0

**1:0 ჟონასი (10), 2:0, 3:0, 4:0 სოლდადო (13, 36, 39), 5:0 ერნანდესი (68), 6:0 ადურიცი (70), 7:0 კოსტა (81)**

ვალენსიელებს დიდი ანგარიშით გამარჯვება სჭირდებოდათ, რადგან ბურთების შეფარდება გაეუმჯობესებინათ, რაც შესაძლოა, ბოლო ტურში ერთ-ერთი გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

ამის გათვალისწინებით „ღამურებმა“ მეტოქე არ დაინდეს და მიმდინარე გათამაშების ყველაზე დიდი სხვაობა დააფიქსირეს. გენკელთა რბევა პირველ ტაიმში ხონასმა დაიწყო, რომელმაც შემდეგ ასისტენტობა გაუწია რობერტო სოლდადოს, რომელმაც თავის მხრივ 3 ბურთი მიითვალა. მეორე ტაიმში კი მათი დაწყებული საქმე ერნანდესმა, ადურისმა და ტინო კოსტამ გააგრძელეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლევერკუზენი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 9 |
| 2.ჩელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:4 | 8 |
| 3.ვალენსია | 5 | 2 | 2 | 1 | 12:4 | 8 |
| 4.გენკი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:15 | 2 |

## მარსელი-ოლიმპიაკოსი 0:1

**0:1 ფეტფაციდისი (82)**

მარსელელებს მერვედფინალში გასასვლელად ფრეც აწყობდათ, მაგრამ ეს დიდებული შანსი ხელიდან მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე გაუშვეს. 82-ე წუთზე საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დატოვებული ფეტფაციდისის გოლით „ოლიმპიაკოსმა“ თავად შეინარჩუნა პლეი ოფში გასასვლელი შანსები.

## არსენალი-დორტმუნდი 2:1

**1:0 ვან პერსი (50), 2:0 ვან პერსი (86), 2:1 კაგავა (90)**

მარსელში დაფიქსირებული შედეგის შემდეგ „არსენალს“ ფრეც აწყობდა, მაგრამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს – რობი ვან პერსის დუბლით ლონდონელები კომფორტულად დაწინაურდნენ და მატჩის ბოლო წუთზე კაგავას ერთმა საპასუხო გოლმა „არსენალს“ საზეიმო განწყობა ვერ გაუფუჭა.

სატურნიროცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:3 | 11 |
| 2.მარსელი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:2 | 7 |
| 3.ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:5 | 6 |
| 4.დორტმუნდი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |

## ზენიტი-აპოელი 0:0

ტურნირის აღმოჩენად იქცა კვიპროსული კლუბი, რომელიც აქამდე დაუმარცხებლად ასპარეზობს და ერთი ტურით ადრე გაინაღდა შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება. საამისოდ კვიპროსელებს ფრეც აწყობდათ და სასურველ შედეგს მიაღწიეს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „ზენიტი“ მთელი მატჩის განმავლობაში უდიდეს უპირატესობას ფლობდა და კვიპროსელებიც რამდენჯერმე სასწაულებრივად გადაურჩნენ გოლის გაშვებას, მაგრამ საფეხბურთო ფორტუნაც მათ მხარეს იყო.

## შახტარი-პორტუ 0:2

**0:1 ჰალკი (80), 0:2 რაცი (90სკ)**

მასპინძლებს უცილობლად სჭირდებოდათ გამარჯვება და ბევრსაც უტევდნენ, თუმცა უფრო ზუსტნი პორტუგალიელები აღმოჩნდნენ, რომლებმაც მატჩის მიწურულს მოახერხეს და დონეცკელთა კარში 2 ბურთი გაიტანეს. თავდაპირველად ჰალკმა იხეირა, ხოლო მატჩის ბოლო წუთზე ბურთი საკუთარ კარში რაზვან რაცმა ჩაჭრა.



**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აპოელი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 9 |
| 2.ზენიტი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| 3.პორტუ | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| 4.შახტარი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |

## მილანი-ბარსელონა 2:3

**0:1 ვან ბომელი (14სკ), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (20), 1:2 მესი (31პ), 2:2 ბოატენგი (54), 2:3 ჩავი (63)**

ტურის ცენტრალური მატჩი მილანში გაიმართა და საინტერესოსთან ერთად უხვგოლიანიც გამოდგა.

ანგარიში მე-14 წუთზე გაიხსნა, როდესაც საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა კეიტამ ბურთი კარის გასწვრივ დაბალი ტრაექტორიით ჩააწოდა, რასაც მარკ ვან ბომელის ავტოგოლი მოჰყვა.

„მილანმა“ ანგარიში მალევე გაათანაბრა – მე-20 წუთზე, კლარენს ზეედორფის პასის შემდეგ დასარტყმელ პოზიციაზე აღმოჩენილმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ყოფილ გუნდს გაუტანა. თუმცა, კატალონიელებმა პირველი ტაიმი მაინც მოიგეს – 31-ე წუთზე, ჩავი მეტოქის საჯარიმოში წაიქცა და მსაჯმა შტარკმა პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. პირველ ცდაზე, მესიმ პენალტი წესების დარღვევით შეასრულა და ყვითელი ბარათიც დაიმსახურა, მაგრამ არგენტინელს მიზანმა არც მე-2 ჯერზე უმტყუნა და წინ კვლავ სტუმრები გავიდნენ.

მე-2 ტაიმის დასაწყისში „მილანმა“ ანგარიში მეორედ გაათანაბრა და ეს დღის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გოლით მოახერხა. 54-ე წუთზე, საჯარიმოს ხაზთან მყოფმა კევინ პრინს ბოატენგმა ეფექტურად მოატყუა ერიკ აბიდალი და ვალდესს ახლო კუთხეში ძლიერი დარტყმით გაუტანა. და მაინც, „მილანმა“ ქულის მოპოვება მაინც ვერ მოახერხა. 63-ე წუთზე მესიმ ბრწყინვალე პასი გაუკეთა ხავის, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 2:3.

## ბატე-პლზენი 0:1

**0:1 ბაკოსი (42)**

აუტსაიდერების ჯახი იმით იყო აღსანიშნავი, რომ გამარჯვებული გუნდი ევროპის ლიგაზე გადაინაცვლებდა. როგორც ჩანს, ეს პატივი ჩეხურ გუნდს ერგება, რომელმაც ბაკოსის ერთადერთი გოლით იმარჯვა.. ეს იმიტომ, რომ ბატე ჯერ კიდევ ინარჩუნებს შანსს „პლზენს“ გადაასწროს, თუმცა საამისოდ ბელარუსებმა სტუმრად „ბარსელონა“ უნდა წააქციონ, რაც ურთულესი ამოცანაა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 16:4 | 13 |
| 2.მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 8 |
| 3.პლზენი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:9 | 4 |
| 4.ბატე | 5 | 0 | 2 | 3 | 2:10 | 2 |

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ზენიტი-აპოელი ........ 0:0
ბატე-პლზენი ........ 0:1
არსენალი-დორტმუნდი ........ 2:1
მარსელი-ოლიმპიაკოსი ........ 0:1
ლევერკუზენი-ჩელსი ........ 2:1
ვალენსია-გენკი ........ 7:0
შახტარი-პორტუ ........ 0:2
მილანი-ბარსელონა ........ 2:3

**იტალია. თასი**

ბოლონია-კროტონე ........ 4:2
კიევო-მოდენა ........ 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-დამფერმლაინი ........ 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეგია-ზაგლებიე ........ 3:0

**კალათბურთი**

**ევროლიგა. ულების თასი**

ცსკა-ჟალგირისი ........ 95:82
ოლიმპიაკოსი-ბოლბაო ........ 88:81
ეფესი-პარტიზანი ........ 67:58
მონტეპასკი-უნიქსი ........ 73:79

**ევროჩელენჯი**

პარდუბიცე-გოვერლა ........ 72:69

**ფრენბურთი**

**მსოფლიო თასი**

კუბა-არგენტინა ........ 1:3
აშშ-ეგვიპტე ........ 3:0
პოლონეთი-ირანი ........ 2:3
რუსეთი-ბრაზილია ........ 0:3
იტალია-ჩინეთი ........ 3:0

**ოთ-2012. კვალიფიკაცია**

ჩეხეთი-ლატვია ........ 3:2
სლოვენია-პორტუგალია ........ 3:2
ესპანეთი-სლოვაკეთი ........ 1:3
საფრანგეთი-საბერძნეთი ........ 3:0
ხორვატია-ფინეთი ........ 0:3
ესტონეთი-ჩერნოგორია ........ 2:3

**ჩოგბურთი**

**ატპ. შემაჯამებელი ტურნირი**

ბერდიხი-ტიპსარევიჩი ........ 2:6;6:3;7:6
ჯოკოვიჩი-ფერერი ........ 3:6;1:6

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

აილენდერსი-ფილადელფია 3:4(ოტ)
ბოსტონი-ბუფალო ........ 3:3(0:1ბ)
ვაშინგტონი-ვინიპეგი ........ 4:3(ოტ)
დეტროიტი-კალგარი ........ 5:3
კაროლინა-მონრეალი ........ 3:3(0:1ბ)
ნიუ ჯერსი-კოლამბუსი ........ 1:1(1:0ბ)
პიტსბურგი-სენტ ლუისი ........ 2:3(ოტ)
ფლორიდა-რეინჯერსი ........ 2:1
მინესოტა-ნეშვილი ........ 3:2
დალასი-ლოს ანჯელესი ........ 3:2(ოტ)
ფინიქსი-ანაჰაიმი ........ 4:2
კოლორადო-ვანკუვერი ........ 0:3
სან ხოსე-ჩიკაგო ........ 1:0

# კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ზოგიერთი მოლუსკის ორგანიზმში წარმოქმნილი ძვირფასი ქვა; 2. გადასახდელ სახურავიანი მსუბუქი ეტლი; 3. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 4. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ჩხირისებრი ბაქტერია; 12. რომაელი ისტორიკოსი; 14. წარწერა საბანკო ჩეკზე, სხვა პირისთვის მისი გადაცემის შესახებ; 16. ღვარად წამოსული დამდნარი თოვლი; 17. არისტოკრატიის წარმომადგენელი რომის პაპის იმპერიაში; 19. რაიმეს დამზადების წესი; 21. დარდი, სევდა, წუხილი; 22. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდების სერია.

**თარაზულად**: 6. ნათესავის, შთამომავალის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ჭაობში ბინადარი დიდი ბუ; 8. სქელი ქაღალდი; 9. სათამაშო სახლი, სამორინე; 10. გეომეტრიული ფიგურა, ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამა; 13. მუშაობის ხანგრძლივობა რაიმე დარგში; 15. საერთო სახალხო რეფერენდუმი; 18. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 20. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 21. ბანქოს Yთამაშის ერთ-ერთი სახეობა; 23. ქველმოქმედი, კაცთმოყვარე, მოწყალე ადამიანი; 24. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა.*

## ასტროპროგნოზი
25 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

ეს დღე მშვიდად გაატარეთ
**ვერძი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** – თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ტყუპები** – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კირჩხიბი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, ახალი სამსახური მართლა მოსაწონია. **ლომი** – თავდაჯერებული ხართ, საწადელს მიაღწევთ. **ქალწული** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სასწორი** – ნურავის ენდობით, საკუთრ თავს დაუჯერეთ. **ღრიანკალი** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **მშვილდოსანი** – ნურავის ენდობით, ისე მოიქეცით, როგორც გული გიკარნახებთ. **თხის რქა** – ახალი დღე სასიამოვნი სიახლით დაიწყება. **მერწყული** – რაღაცაზე გული გწყდებათ, მაგრამ სულ ტყუილად. **თევზები** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ალექს დელ პიერო: „სათადარიგო სკამები ცივია... მინდორზე სჯობს“

დასაწყისი მე-9 გვერდზე




***– რომელ ფეხბურთელებთან მეგობრობთ?***

– ანჯელო დი ლივიოსთან, თუმცა მან კარიერა დაასრულა.

***– რომელმა გოლმა გაგახარათ ყველაზე მეტად?***

– 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანიას რომ გავუტანე. და კიდევ, 1996 წლის კონტინენტთაშორისი თასის ფინალში, როცა „იუვენტუსმა“ ჩემი ერთადერთი გოლით მოიგო ტიტული.

***– მსოფლიოს ჩემპიონობა ყველაზე მეტად გაგიხარდათ?***

– დიახ. 32 წლის ასაკში მოვიგე ეს ტიტული, არადა, მანამდე 14 წელი ვიყავი ნაკრებში.

***– ყველაზე მეტად რომელი მცველის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?***

– ფაბიო კანავარო, ლილიან ტიურამი და პაოლო მალდინი. ისინი ძალიან ძლიერები იყვნენ და დასწრებაზე ბრწყინვალედ თამაშობდნენ.

***– ბოლოს როდის იტირეთ?***

– არ შემიძლია ტირილი. მაშინაც კი, როცა მამა დამეღუპა, ვერ მოვახერხე. უბრალოდ, შოკში ვიყავი. როგორ მინდა, მამა ახლაც ჩემ გვერდით იყოს და მადლობა გადავუხადო ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გააკეთა.

***– „იუვენტუსთან“ კონტრაქტი 1993 წელს გააფორმეთ. გახსოვთ ის შთაბეჭდილებები, რომელიც კლუბის შტაბბინამ მოახდინა?***

– ბელისიმა! პატარა დასახლებიდან ჩამოსულს, არაჩვეულებრივ გარემოში მეგონა თავი.

***– ლიპი, კაპელო, ტრაპატონი, ანჩელოტი – ამ მწვრთნელებიდან რომელი დაგეხმარათ ყველაზე მეტად?***

– ალბათ, ლიპი, რადგან ის სხვებზე დიდხანს იყო ჩემი მწვრთნელი. და ლიპის თავკაცობისას ყველა საკლუბო ტიტული მოვიგე, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა.

***– ამბობენ, იბრაჰიმოვიჩი გვარდიოლას კინაღამ ეჩხუბაო. როგორ იქცეოდა ზლატანი „იუვეში“?***

– „იუვეში“ კინაღამ სხვას ეჩხუბა.

***– თქვენ?***

– არა. ჩემგან სხვანაირად მიიღებდა... საერთოდ, ზლატანი მშვიდია, ოღონდ ძალიან მომთხოვნია და თანაგუნდელებისგან მაქსიმალურ შრომას მოითხოვს.

***– 10 ნომერი ბაჯოსგან გადმოგეცათ. ის საუკეთესოა, ვისთან ერთადაც გითამაშიათ?***

– დიახ, ოღონდ ზიდანთან ერთად. და კიდევ, იუგოვიჩი. თუმცა, „ზიზუს“ და ბაჯოს ფანტასტიკური ტექნიკა ჰქონდათ.

***– სად გსურთ კარიერის დასრულება?***

– ეს კითხვა არ მიყვარს. მინდა, რომ მშვიდად, ყოველგვარი დრამის გარეშე წავიდე. რაც მოხდება, მოხდება.

***– რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?***

– 40 წლამდე.

***– რამეს ნანობთ?***

– არა. უბრალოდ, ზოგიერთ მატჩს ახლიდან ვითამაშებდი, ოღონდ დღევანდელი გამოცდილების დელ პიერო ვიქნებოდი.

# აშშ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაზე უარის თქმას არ აპირებს

*საერთაშორისო*



– ვაშინგტონი იმის იმედს არ ტოვებს, რომ რუსეთთან შეთანხმება ევროპაში „პრო“-ს (რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა) განთავსების საკითხში მიღწეული იქნება, – რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ასეთი ხისტი განცხადება გააკეთა და განაცხადა, რომ თუ აშშ არ გადახედავს თავის პოზიციას და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გაჩნდება, მოსკოვი დაუყოვნებლივ შეიყვანს საბრძოლო რიგებში რადიოლოკაციურ სადგურს, რომელიც სარაკეტო თავდასხმის შესახებ გაფრთხილებას იძლევა.

სადგური ქალაქ კალინინგრადში მდებარეობს.

პრეზიდენტი მედვედევი ასევე დაემუქრა აშშ-ს ბალისტიკური რაკეტებით. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

ამავდროულად, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრემდივანმა მარკ ტონერმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული არ იქნება.

– ევროპაში „პრო“-ს განთავსების საკითხში ჩვენ რუსეთთან გულწრფელნი და ღია ვიყავით. ჩვენი განზრახვა – ეს ჩვენი ევროპელი მოკავშირეების დაცვაა ირანის მხრიდან მომდინარე საფრთხისგან.

რუსეთს არ აქვს იოტისოდენა მიზეზიც კი სამხედრო ხასიათის ზომები მიიღოს, იმიტომ, რომ „პრო“-ს სისტემა რუსეთსა და აშშ-ს შორის არსებულ სტრატეგიულ ბალანსზე გავლენას არ მოახდენს, – განაცხადა ტონერმა.

ამას გარდა, სახელმწიფო დეპარტამენტის პრემდივანმა ასევე სინანულით აღნიშნა, რომ ვაშინგტონის მცდელობების მიუხედავად ჩართოს მოსკოვი დიალოგში კრემლის რიტორიკა არ იცვლება.

– არ მიმაჩნია, რომ კვლავაც საჭირო იყოს იმის გამეორება, რომ „პრო“-ს სისტემა, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული არ არის, – აცხადებს პენტაგონის წარმომადგენელი ჯონ კირბი.

თეთრი სახლის წარმომადგენელი ტომმი ვაიტორი კი აცხადებს, რომ აშშ ვერ ხედავს ვერავითარ მიზეზს თავის განზრახვაზე აიღოს ხელი.

თავის მხრივ, ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი მიიჩნევს, რომ მოსკოვის რიტორიკა – ეს უკან, ცივი ომის დროში დაბრუნებისკენ გადადგმული ნაბიჯია. მისივე თქმით, იგი იმედგაცრუებულია მოსკოვის მუქარებით.

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი აცხადებს, რომ რუსეთი ვერ ენდობა დასავლეთის ზეპირ დაპირებებს, რომ ეს სისტემა მის წინააღმდეგ მიმართული არ არის. მედევდევი ასევე აცხადებს, რომ რამდენჯერაც მან სთხოვა დასავლეთს თავისი დაპირება წერილობით დაეფიქსირებინა, დასავლელი პარტნიორებისგან კატეგორიული უარი მიიღო.

ნატოში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის დიმიტრი როგოზინის განცხადებით, კრემლი გორბაჩოვის მსგავსად ვერ მოიქცევა და დაასვლეთის ზეპირ დაპირებებს ვერ ენდობა.

ამ ფონზე, სენატორი რესპუბლიკელი ჯონ მაკკეინი მიიჩნევს, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობები რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებების შემდეგ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებით გაუარესდება და მხარეები იძულებულნი იქნებიან ახალი „გადატვირთვა“ დაიწყონ.

– მზად ხართ ახალი გადატვირთვისათვის? მედვედევი ევროპაში ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგო ფარს ემუქრება, იმ შემთხვევაში თუკი მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, – წერს სენატორი თავის გვერდზე „ტვიტერში“ და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუარესებაზე მიანიშნებს. ამასობაში, ლიტვის ხელისუფლება შეშფოთებას გამოხატვს რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადების გამო კალინინგრადის ოლქში „ისკანდერების“ სარაკეტო კომპლექსების შესაძლო განთავსების შესახებ.

ლიტვის პრემიერ-მინისტრი ანდრიუს კუბლიუსი მიუწოდებს ნატოს სერიოზული რეაგირება მოახდინოს მედვედევის ამ განცხადებაზე.

– მიმაჩნია, რომ ყოველივე ამაზე სერიოზული რეაგირება უნდა გვქონდეს. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ რუსეთი ნუ იქცევა ასე. ყოველივე ეს კი ჩვენ ჩვენს ნატოელ პარტნიორებთან ერთად უნდა გავაკეთოთ, – განაცხადა ლიტვის პრემიერ-მინისტრმა ანდრიუს კუბლიუსმა ადგილობრივ მედიასთან საუბარში.

# აშშ-ში ავიაკატასტროფას ექვსი ადამიანი ემსხვერპლა

მინიმუმ ექვსი ადამიანი დაიღუპა აშშ-ში კერძო თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად. უბედური შემთხვევა არიზონას შტატის ქალაქ ფენიქსში მოხდა, – ამის შესახებ „ლოს-ანჟელეს ტაიმსი“ იტყობინება.

გამოცემა აზუსტებს, რომ ინციდენტს სამი ბავშვი ემსვერპლა.

კერძო ორმოტორიანი თვითმფრინავი, უცნობი მიზეზებით, ადგილობრივი დროით 17 საათსა და 30 წუთზე ჩამოვარდა.

თვითმფრინავის მოძრაობის ბოლო წამები და აფეთქება, რომელიც შეჯახებას მოჰყვა, ვიდეოდაკვირვების კამერამ დააფიქსირა. ჩანაწერის 48-ე წამზე ჩანს, როგორ იკარგება თვითმფრინავის სასიგნალო ცეცხლი, ხოლო სამი წამის შემდეგ ობიექტი ფეთქდება.

თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილზე მაშველები გაიგზავნა, რომლებმაც ბავშვის სხეული აღმოაჩინეს. ბორტზე მყოფი პატარების ასაკი, 5-დან 9 წლამდე იყო.

ამ ინციდენტის გათვალისწინებით, ბოლო ორ თვეში აშშ-ში როგორც მინიმუმი ხუთი ავიაკატასტროფა მოხდა, რამაც ადამიანების მსხვერპლი გამოიწვია.

16 სექტემბერს, ნევადას ავიაშოუზე, მეორე მსოფლიო ომისდროინდელმა ამერიკულმა გამანადგურებელმა „მუსტანგმა“ კატასტროფა განიცადა. მანქანა მაყურებლების ტრიბუნას შეეჯახა, რის შედეგადაც დაიღუპა 11 ადამიანი, 74 წლის პილოტის ჩათვლით; ათეულობით დაზარალებული საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

ერთი დღით ადრე, ვირჯინიის შტატში ავიაშოუზე საჰაერო აკრობატიკის ელემენტების შესრულებისას, ორი თვითმფრინავიდან ერთ-ერთი ტ-28 დაიმტვრა. ინციდენტის შედეგად პილოტი დაიღუპა.

19 სექტემბერს, კალიფორნიის შტატში კემპ-პედლტონის ბაზაზე, სამხედრო ვერტმფრენი „ან-1 კობრა“ დაიმტვრა, ინციდენტმა ორი პილოტი იმსხვერპლა.

16 ოქტომბერს, კალიფორნიის უდაბნოში ქალაქ ბერსტოვთან სიახლოვეს კატასტროფა განიცადა მსუბუქმოტორიანმა თვითმფრინავმა „ბონანაზამ“, პილოტი და ორი მგზავრი დაიღუპნენ, – იუწყება „იტარტასი“.

აქვე გთავაზობთ გახმაურებულ სამთავრობო ავიაკატასტროფებს, რომლებიც ბოლო 50 წლის განმავლობაში მოხდა.

2010 წ. 10 აპრილი – პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი მეუღლე მარიასა და პოლონეთის სამთავრობო დელეგაციის 90-ზე მეტ სხვა წევრთან ერთად.

ტუ-154 თვითმფრინავი ჩამოვარდა სმოლენსკის (რუსეთი) აეროპორტთან 300 მეტრში. სავარაუდოდ – ნისლის, თვითმფრინავის ტექნიკური ხარვეზის და/ან პილოტის შეცდომის გამო.

2005 წ. 30ივლისი – სუდანის ვიცე-პრეზიდენტი ჯონ კარანგი. რომლის ვერტმფრენი სამხრეთ სუდანში ცუდი ხილვადობის გამო მთას შეეჯახა.

2004 წლის 26 თებერვალი – მაკედონიის პრეზიდენტი ბორის ტრაიკოვსკი და კიდევ 7 ადამიანი დაიღუპა მოსტართან, როცა ბოსნიაში საერთაშორისო კონფერენციაზე მიფრინავდა.

1994 წ. 6 აპრილი, – რუანდის დიქტატორი პრეზიდენტი, იუვენალ ჰაბიარიმანა და ბურუნდის პრეზიდენტი სიპრიენ ნტარიამინა – დაიღუპნენ კიგალისთან (რუანდა). თვითმფრინავი ამბოხებულებმა ჩამოაგდეს რაკეტით.

1988 წ. 17 აგვისტო, მოჰამად ზია ულ-ჰაკი, პაკისტანის პრეზიდენტი. მასთან ერთად დაიღუპა აშშ ელჩი პაკისტანში. თვითმფრინავი აფეთქდა ბაჰავალპურის აეროპორტის აფრენიდან რამდენიმე წუთში, თვითმფრინავში ჩამონტაჟებული ბომბის დეტონაციის გამო.

1986 წ. 19 ოქტომბერი – მოზამბიკის პრეზიდენტი სამორა მაშელი. დაიღუპა ლემბობოსთან (სამხრეთ აფრიკის რესპ). შტორმში პილოტის შეცდომის გამო.

1981 წ. 31 ივლისი – პანამის ლიდერი გენერალი ომარ ტორიხოსი. დეტალები უცნობია. დასაშვებია საბოტაჟი.

1981 წ. 24 მაისი, ეკვადორის პრეზიდენტი, ხაიმე როლდოს აგილერა. დაიღუპა 9 კაცთან ერთად შიდა რეისის დროს. ცუდი ამინდის გარდა, არის ეჭვი, რომ თვითმფრინავი სპეციალურად იყო დაზიანებული.

1976 წ. 30 ივლისი – მადაგასკარის პრემიერ-მინისტრი, ჯოელ რაკოტამალალა. დაიღუპა ზღვაში ვერტმფრენის ჩამოვარდნის გამო 4 კაცთან ერთად.

1977 წ. 18 იანვარი – იუგოსლავიის პრემიერი, ჯემალ ბიედიჩი. სარაევო (იუგოსლავია). თვითმფრინავი თოვლიან შტორმში მთას შეეჯახა. მსხვერპლი – 7 ადამიანი.

1969 წ. 27 აპრილი – ბოლივიის პრეზიდენტი, რენე ბარიენტოსი. არგუო ვილაჯესთან (ბოლივია) ვერტმფრენი ელექტროსადენებს წამოედო და აფეთქდა.

1966 წ. 13 აპრილი – ერაყის პრეზიდენტი, აბდულ სალამ არიფი. მისი ვერტმფრენი ჭექა-ქუხილის დროს ჩამოვარდა. დეტალები უცნობია.

1961 წ. 17 სექტემბერი – გაეროს გენერალური მდივანი, დაგ ჰამარსკოლდი. 16 კაცი დაიღუპა ნდოლასთან (ზამბია). თვითმფრინავი ჯუნგლებში ჩამოვარდა, არის ეჭვი, რომ ბომბის აფეთქების გამო.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*



## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 2. უდიდესი ნეტარება ბუდისტური მოძღვრების მიხედვით; 3. დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ცაზე დაგროვილი შავი, სქელი ნისლი; 4. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. ოჩამჩირის ძველბერძნული სახელწოდება; 10. სამეფო საგვარეულო; 11. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე, საიზოლაციო მასალა; 15. აზნაურის ტიტული ესპანეთში; 16. ქვის ხავსი; 17. სამაგიეროს გადახდა, 20. შავი ზღვის ძველი სახელწოდება.

**თარაზულად**: 6. გულის მუშაობის გრაფიკული გამოსახულება; 7. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 8. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 9. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 13. კომპიუტერულ ტექნიკაში გამოყენებული ინფორმაციის ერთეული; 14. ხელოვნური მიკროკლიმატის მქონე აპარატი, რომელშიც ათავსებენ დღენაკლულ ჩვილ ბავშვს; 18. უძველესი ქართული ხალხური თამაში ბურთით; 19. ბაღჩეული ხილი; 21. ფინური ელექტროტექნიკური კონცერნი; 22. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 23. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 24. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა.*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ალებასტრი; 2. სექვოია; 3. პიკაპი; 4. ურეკი; 5. ისინდი; 11. სონატა; 12. ბატიკი; 14. გურუ; 16. ლიტანია; 17. სარბაზი; 19. რედინგი; 21. ბრომი; 22. ლუარა.

**თარაზულად:** 6. ბლეიზერი; 7. კორპუსი; 8. კლანი; 9. შალახო; 10. პეპსი; 13. გრიგი; 15. ალადასტური; 18. ტანკერი; 20. ალჩუ; 21. ბოინგი; 23. კატამარანი; 24. ზარზმა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. საგურამო; 2. ოჯალეში; 3. ელისო; 4. ხურჯინი; 5. ბავარია; 10. სალივანი; 11. იანქოშვილი; 12. ღვეზელი; 15. ბარანდოვი; 16. მაიამი; 17. მარაბდა; 20. ლაწვი.

**თარაზულად:** 6. სარაჯიშვილი; 7. თუშმალი; 8. არომატი; 9. ლავაში; 13. საბა; 14. საცივი; 18. უზუფრუქტი; 19. კანტი; 21. ყანწი; 22. ვინიცა; 23. მანდოლინა; 24. გრინფისი.




მალე გამოვა სერია

„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

პირველი ტომი – ტირანები

ისტორიის 100 ყველაზე სასტიკი დესპოტი და დიქტატორი

გამოსაცემად მზადდება:

- 100 გამოჩენილი მხედართმთავარი
- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- კანიბალიზმის ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

საერთაშორისო

## ყირგიზეთში ამერიკული ბაზა 2014 წლამდე დარჩება

აშშ-ყირგიზეთის შეთანხმების თანახმად, მანასის ბაზა ქვეყანაში 2014 წლამდე დარჩება.

ამავე დროს, ქვეყნის არჩეულმა პრეზიდენტმა ალმაზბეგ ატამბაევმა „აეროპორტის ინფრასტრუქტურის საფუძველზე, ბაზის ტრანზიტული გადაზიდვების სამოქალაქო ცენტრად გარდაქმნის“ სურვილი გამოთქვა. ამის შესახებ ყირგიზეთის პრეზიდენტმა როზა ოტუნბაევამ განაცხადა. მოქმედმა ლიდერმა მას „კარგი იდეა უწოდა.

– ჩვენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და პირიქით, ტვირთების გადასაზიდად მსხვილი სატრანსპორტო ცენტრი გვჭირდება, – განაცხადა როზა ოტუნბაევამ გაეროს შტაბბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მან ხაზი გაუსვა, რომ ამ მომენტისთვის ავღანეთში საერთაშორისო კოალიციის ჯარებისთვის ბაზის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია. ოტუმბაევამ აღნიშნა, რომ 2014 წლის შემდეგ ბაზის მომავალზე გადაწყვეტილება დიდწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება სიტუაცია ავღანეთში.

– მოდით, 2014 წლამდე ვიცოცხლოთ და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, – განაცხადა ოტუმბაევამ.

მანასის ავიაბაზა 2001 წლის ბოლოს მას შემდეგ გაიხსნა, რაც აშშ-მ ავღანეთში თალიბების და „ალ-ქაიდას“ წინააღმდეგ ომი დაიწყო. დღესდღეობით მასში 1,2 ათასი ამერიკელი სამხედროა დისლოცირებული.

პენტაგონის თანახმად, ყოველთვიურად მანასიდან ავღანეთში და პირიქით, 15 ათასი სამხედრო და 500 ათასი ტონა ტვირთი გადაადგილდება.

2009 წელს ყირგიზეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა კურმანბეკ ბაკიევმა განაცხადა, რომ მანასის დახურვა სურს, მაგრამ იჯარის პირობებზე ვაშინგტონთან მოლაპარაკების შემდეგ, ამერიკელებს დარჩენის ნება დართო.

აშშ ბაზის გამოყენებაზე ყოველწლიურად 63 მილიონის გადახდას დათანხმდა. ამას გარდა აეროპორტის მოდერნიზაცია და უახლესი სანავიგაციო სისტემებით აღჭურვა მოხდება. ასევე ნარკომოვაჭრეებთან და ტერორისტებთან საბრძოლველად ბიშკეკს 52 მილიონი დოლარი გამოეყო.

## სერბეთი კოსოვოს ომით დაემუქრა


ივიცა დაჩიჩი

სერბეთის შს მინისტრი და ქვეყნის ვიცე-პრემიერი ივიცა დაჩიჩი კოსოვოს ომით დაემუქრა იმ შემთხვევაში, თუ სერბ მოსახლეობაზე თავდასხმები მომავალშიც გაგრძელდება, ამის შესახებ ადგილობრივი ტელეარხი ბი92 იტყობინება.

თუმცა, სერბი ექსპერტები იმედოვნებენ, რომ პოლიტიკოსის ნათქვამი თავად სერბეთის საზოგადოებაზეა მიმართული და დღეიცთვის შეუძლებელია, რომ ბელგრადმა სამხედრო ძალა გამოიყენოს.

თავის განცხადებაში დაჩიჩმა უშუალოდ კოსოვოს პრემიერ-მინისტრ ჰაშიმ ტაჩის მიმართა.

– ბელგრადისთვის წითელი ხაზი, კოსოვოს სერბებზე ჰაშიმ ტაჩის შეიარაღებული თავდასხმაა. ტაჩიმ უნდა იცოდეს, რომ კოსოვოელი სერბების წინააღმდეგ შეტევა, ბელგრადის წინააღმდეგ შეტევასაც ნიშნავს. სერბეთს არ შეუძლია და ამას მშვიდად არც შეხედავს, – თქვა მან.

აღსანიშნავია, რომ ადრე ის კოსოვოს ალბანურ და სერბულ ნაწილებად გაყოფის იდეით გამოვიდა, ახლა კი იმის შესახებ საუბრობს, რომ რეგიონში ძალთა ბალანსის დარღვევის შიშით, ახალი სამხედრო მოქმედებების შესაძლებლობის უარყოფა, შეცდომას წარმოადგენს.

– ისტორიაში კოსოვო რამდენჯერმე დავკარგეთ და შემდეგ ისევ დავიბრუნეთ, – გვახსენებს დაჩიჩი.

სერბი ექსპერტები თვლიან, რომ ასეთი განცხადებებით შსს-ს ხელმძღვანელი თანამემამულეებში სიმპატიების მოპოვებას ცდილობს. იმ ხალხში, ვინც კოსოვოს ჩამოცილებას მტკივნეულად აღიქვამს.

ამასობაში, ძირითადად სერბებით დასახლებულ ჩრდილოეთ კოსოვოში ვითარება ისევ გამწვავდა. იქიდან უსაფრთხოების საერთაშორისო ძალების და ადგილობრივი სერბების შეტაკებებზე ინფორმაციები ვრცელდება.

სერბებმა ნატოს ჯარისკაცებს ბარიკადების დანგრევაში ხელი შეუშალეს, რომელიც კოსოვო-სერბეთის საზღვარზე იყო გაკეთებული.

შეტაკებებში რამდენიმე ასეულმა სერბმა მიიღო მონაწილეობა, ნატოს სამხედროებმა მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. ამას გარდა, გასულ ღამეს სროლები ისმოდა ქალაქ მიტროვიცაში, თუმცა უცნობია ცეცხლი ვინ გახსნა. დაზარალებულებზე მონაცემები არ გავრცელებულა.

ალბანელებს და სერბებს შორის დაპირისპირების ახალი ტალღა კოსოვოში სექტემბერში დაიწყო, როდესაც პრიშტინა ორო საკონტროლო-გამშვები პუნქტის „იარინიეს“ და „ბრიანიკის“ ხელში ჩაგდებას შეეცადა, რომლებიც სერბეთთან ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს მდებარეობენ. საპასუხოდ ამ რაიონში მცხოვრებმა სერბებმა პუნქტების მისადგომებთან ბარიკადები აღმართეს.

9 ნოემბრის ღამით „იარინიეს“ საკონტროლო-გამშვები პუნქტი ნატოს სამხედროებმა აიღეს, რაც ადგილობრივ მაცხოვრებლებთან შეტაკების გარეშეEარ გამოვიდა. კონფლიქტს ალბანელების მხრიდან კოსოვოელ სერბებზე ცალკეული თავდასხმებიც ამწვავებს.

მაგალითად, „იარინიეს“ გამშვები პუნქტის ხელში ჩაგდებისას მიტროვიცაში სამი სერბი დაცხრილეს, რის შედეგადაც ერთ-ერთი მათგანი დაიღუპა.

კოსოვოს სერბული მოსახლეობა აცხადებს, რომ შესაძლოა ანკლავი კოსოვოს გამოეყოს. ადგილობრივმა სერბებმა ამას წინათ რუსეთის მოქალაქეების მინიჭების თხოვნით მოსკოვსაც კი მიმართეს.

კოსოვოში ეროვნებათაშორისი კონფლიქტი 1980-იან წლებში დაიწყო, როდესაც ალბანური მოსახლეობა იუგოსლავიისგან დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვიდა. მალე დაპირისპირება ნამდვილ ომში გადაიზარდა, ორივე მხრიდან მრავალრიცხოვანი მსხვერპლით, რომელშიც ევროპამ და აშშ-მ პროალბანური პოზიცია დაიკავეს. 1999 წელს ნატოს ავიაციამ მაშინდელი იუგოსლავიის დაბომბვა დაიწყო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქვეყნის ხელისუფლებამ კოსოვოდან ჯარების გაყვანაზე უარი თქვა. 78-დღიანი დაბომბვების შემდეგ ბელგრადი დათმობებზე წავიდა და მხარეეში ნატოს სამშვიდობო ძალები შევიდნენ.

დასავლეთის მხარდაჭერით კოსოვოში ხელისუფლება ალბანელების ხელში გადავიდა, რომლებმაც 2008 წლის 17 თებერვალს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. თვითგამოცხადებული სახელმწიფოს სუვერენიტეტი მსოფლიოს 85-მა სახელმწიფომ აღიარა, აშშ-ს და ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობის ჩათვლით.

ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარს ამბობენ სერბეთი, რუსეთი, ჩინეთი და რიგი სხვა ქვეყნები, ასევე გაეროს უშიშროების საბჭო (სადაც რუსეთის ფედერაციას და ჩინეთს ვეტოს უფლება აქვთ) და გენერალური ასამბლეა.

ცნობისთვის, კოსოვო, ოფიციალური სახელი სერბეთის კონსტიტუციის მიხედვით – კოსოვოსა და მეტოხიას ავტონომიური მხარე), ოფიციალური თვითდასახელება კოსოვოს რესპუბლიკა. რეგიონი მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

## ახმეტელის თეატრში საიუბილეო კვირეული იწყება

თეატრში იქნება საიუბილეო დღეები. თუ დასაწყისი იქნება ასეთ მაღალ ტონებზე, ის თავისთავად წლის ბოლომდე გაგრძელდება.

***– როგორია ამ 30 წლის განმავლობაში თეატრის გულისცემა?***

– თავის მხრივ, მუშათა რაიონში რომ თეატრი დაარსდა, ეს იყო საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯი. თეატრს უდავოდ ჰქონდა წარმატებები, ამაზე ბევრი დაიწერა. თუმცა, ამავე დროს, თეატრს ყოველთვის აქვს ჩავარდნები, აღმასვლები, წარმატებები და წარუმატებლობები. ახლა მგონია, რომ საიუბილეო დღეებში და მის შემდეგაც ახალი ათვლა დაიწყება ახმეტელის თეატრის შემოქმედებითი კუთხითაც და მისი პოპულარობის თვალსაზრისითაც. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ყველა იმ ადამიანს, ვინც ლამაზად გვიდგას მხარში, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა. თუმცალა, მაინც მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ სამწუხაროდ, ქართული ბიზნესიდან ამ თარიღთან დაკავშირებით მოიკოჭლეს. არ ვიცი რას დავაბრალო, მაგრამ ფაქტი ფაქტია, როგორც იტყვიან, ღმერთმა შეუნდოთ.

***– არ გაქვთ სურვილი იუბილარი თეატრის სცენაზე დადგეთ?***

– ჯერჯერობით ვერ მხედავენ რეჟისორები და მირჩევნია კულისებში ვიდგე. ალბათ რეჟისორებს არ მოვწონვარ.

***– მმართველობაც ხომ პროფესიაა?***

– რასაკვირველია, თანაც ძალიან რთული პროფესია.

***– თეატრში მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად მოწესრიგდა?***

– ძირითადად ყველაფერი გაკეთებულია. საოცარი თანადგომაა ამ თვალსაზრისით თბილისის მერიიდან. მოწესრიგე-და ფასიადი. ეს თეატრი ერთი ძალიან ლამაზი წერტილი იქნება გლდანი-ნაძალადევის რაიონში. ეს საკმაოდ დიდი რაიონია და თან თეატრსაც ეკადრება, რომ ლამაზად გამოიყურებოდეს. ამ მხრივ 100 პროცენტიანი თანადგომაა.

***– შიდა პრობლემები არ გაქვთ?***

– რაღაც პრობლემები არსებობს და მჯერა, რომ მომავალი წლიდან ისინიც გადაწყდება.

***– პრემიერებს გეგმავთ?***

– ამ წელიწადს აუცილებლად იქნება პრემიერები. გვეგონა ვაჟას ვერ მოვასწრებდით, რადგან მაინც ვაჟაა და რთულია, მაგრამ მოვასწარით და მისი პრემიერა დეკემბრის დასაწყისშია. ჩვენი გეგმა ასეთია – წლის ბოლომდე ერთი საბავშვო სპექტაკლი აუცილებლად გვინდა დავდგათ. თუ კიდევ მოვასწარით და საზეიმო განწყობამ არ გაგვაზარმაცა, შეიძლება ერთი სპექტაკლიც გამოვუშვათ. თუ არადა, 14 იანვარს ტრადიციულ ახალ წელს და თან თეატრის დღეს პრემიერით შევხვდებით. ჩვენ გასულ წელსაც ასე გავაკეთეთ, 14 იანვარს პრემიერა გვქონდა.

***– ღირდა ახმეტელის თეატრის მმართველობა თუ ნანობთ?***

– ვფიქრობ, რომ თითოეული ადამიანის ვალია ამქვეყნად, რომ თავისი ქვეყნისთვის ერთი-ორი (თუ ცოტა მეტს დადებს, ხომ მთლად უკეთესი) აგური უნდა დატოვოს. ამ მხრივ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვარ აქ და მაქვს შესაძლებლობა, პატარა სიხარული მივანიჭო ადამიანებს, თან მეც მივიღო დიდი სიამოვნება. ჩვენ ერთად შეგვწევს ძალა, რომ რაღაც ერთად ვაკეთოთ, გავალამაზოთ, შევქმნათ, დავუტოვოთ მომავალ თაობებს და ისე წავიდეთ ამქვეყნიდან ვალმოხდილები, თუმცა ქვეყნის ვალს ვერასოდეს ვერ გადავიხდით.

## სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კავშირის წევრი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

**მურთაზ ჩაჩანიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## TV პროგრამა

ხუთშაბათი 25 ნოემბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** თოქ-შოუ "არენა" **13.50** მხ. ფილმი **"დესტინი რადიოს რთავს"** **17.00** ავტოპილოტი **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** დოკ. ციკლი "ოკუპაცია" **22.00** ვინ არის ოლივერი **23.00** კავკასუს ლაივი **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი **"თემა"** **03.00** მოამბე **03.20** მხ. ფილმი **"მართლმსაჯულება ყველასთვის"** (ალ პაჩინო) **05.30** მხ. ფილმი **"იცხოვრე მტერთან"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"გულახდილობა"** **01.00** მხ. ფილმი **"მოლ ფლანდერსი"** (15)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** პროფილი (გან.) **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.30** კომედი შოუ **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ბიზნეს-ლიდერი (გან.) **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** თოქ-შოუ **00.20** ღამის შოუ (გან.) **01.20** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ. ფ. **"მეცხრე ლეგიონი"** (ჩ. ტატუმი) (სუბტ.) **04.05** მხ. ფილმი **"სიცილიური კლანი"** (ა. დელონი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"მეათე სამეფო"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"მარტოხელა მტრედი"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50** სერ. **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 21.00** სერ. **"ცნობილი ოჯახები"** **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **19.35** სერ. **"ეს მაფიაა"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "ქართული მონეტა" **10.45** დოკ. ფილმი "სულიკო" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ჩარირამა"** **13.30** კონცერტი – ნ. მემანიშვილი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ენი მწვანესახურავების მამულიდან"** **16.15** დოკ. ფილმი "წერილი ძმას" **17.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.25** ერთი წვეთი **18.40** წარმატების ფორმულა **19.15** მხ. ფილმი **"კეთილი ადამიანები"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **22.45** მოკლ. ფილმი **"დედის ხელი"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ჯვარსახოვანი გზა" 1-ლი ნ. **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

